

1991

0130

619 1
1991



0130—1624

საბინტო № 8 1991

ბრძანება

ჰოი, ყოვლად მონყალეო დედუფალო, აღმომიყვანენ ჩვენ სიღრმეთაგან ცოდვათასა, და მიხსენ ჩვენ სიყმილისაგან, სვრისა, ძვრისა, ცეცხლისა, მახვილისა, და ზედამოსვლისაგან უცხოთესლთასა, და ტომითისაგან ბრძოლისა, და უცნაურისა სიკვდილისა, და ზედადასხმისაგან მტურთასა, და განმხრწნელისაგან ქარისა, და ყოვლისაგან სიკვდიდშემოსილისა, ნყლულებისა და ყოვლისაგან ბოროტისა, მოგვეც დედუფალო მშვიდობა და სიმრთელე მონათა ამათ შენთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, და განანათლენ გონებანი ჩვენნი, და თვალნი გულისა ჩვენისანი, რათა ვცხოვნდეთ, და ღირს ვიქმნეთ ცოდვილნი მონანი შენნი სასუფეველსა მზისა შენისა, და ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა, რამეთუ მეუფება მისი კურთხეულ არს და დიდებულ, თანა დაუსაბამოდ. მამით მისით და ყოვლადნმიდით და ცხოველსყოფელით სულითურთ, ან და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე.

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გვევედრები.

ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც მშვენიერი.

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გვევედრები.

გალაპტიონი

მამულო, საყვარელო!

№ 8. აპრილი (655). 1991

დროვა

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური საზოგადოებ-
რივ-პოლიტიკური და სალი-
ტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ჩარკვიანი

„ეონკალუზის ქარი ბანბვილ“

„აერთხელ ხარ უბნ დედათა შო-
რის და აერთხელ არს ნაყოფი
შუტელისა შინისა, რამეთუ მაცხო-
ვარი გვიშვეს სულთა ჩვენთა“.



ლვთისმშობელი ა
უმალლესი სადი-
დებელი უფლის
შემდეგ, სასო და
მფარველი ყოვე-
ლი ქრისტიანისა. მისი შე-
ცნობა ისევე აღემატება
ადამიანის გონების შესა-
ძლებლობას, როგორც მა-
ცხოვრის შობა, ღვთის გან-
კაცების იდუმალეობა. „მე-
ტყველი ენა ვერ შემძლე-
ბელ არს ქებად შენდა ჯე-
რისაებრ, ღვთისა დამტყვე-
ნელო, არამედ მსგავსად
ძალისა, სიტყვით შეგამ-
კობს“ (ძილი სპირნი).
ღვთისმშობელმა აღასრუ-
ლა უმშვენიერესი და უზე-
ნაესი საიდუმლო უწინა-
რეს ყოვლისა საუკუნეთა.
უფალი ქალწულის სხე-
ულში განხორციელდა და
ქედ კაცისა მოეწვინა კა-
ცობრიობას. ადამიანმა
ღვთის განუზომელი სიყ-
ვარული და სიახლოვე
იგრძნო; ცათა და ქვეყნის
შემოქმედმა დედა უწოდა
მას.

ღვთისმშობელმა უბი-
ნობის სიხარული განუახ-
ლა კაცობრიობას, ევა ცო-
დვისაგან განწმინდა და
დაცემული ადამი ალაღვი-
ნა. ზეციური სათნოებით
გაათბო და გაანათა ცოდ-
ვით დაბნელებულთა გუ-
ლები. ამიტომაც მარიამი,
განმანათლებელი ეწოდა,
„ხოლო წმინდასა მას ქალ-
წულსა ფრიად შემსგავსე-
ბული სახელი, რამეთუ მა-
რიამ ეწოდა, რომელი
ითარგმნების „განმანათ-
ლებელ“ და რაიმე უბრწ-
ყინვალეს არს ქალწულსა
ნათლისა?“ (გრიგოლ ნეო-
კესარიელი, ხარებისათვის),
სინწმინდის, სიყვარულისა

და ქალწულებრივი ბრწყინ-
ვალებისათვის აირჩია იგი
უფალმა თავის ტაძრად.
„ვითარცა იგი ხურომან
პოვოს ნივთი, უსახმარეს-
სა და უმჯობესად ჭურჭ-
ლად შექმნას იგი, ეგრეცა
ქრისტემან ჰპოვა ქალწუ-
ლისა მის სული და გვამი
წმინდა სულიერი თავისა.
შექმნა მისგან ტაძარი, ვი-
თარცა უნდა მას, დაჰბადა
კაცი, ქალწულსა მას შინა,
შემოსა იგი და დღეს გამო-
ვიდა“ (ათანასე ალექსან-
დრიელი, შობისათვის).
ღვთისმონყალებით, ადა-
მიანის მოდგმამ შეძლო
ჰყოლოდა უწმინდესი და
უსათნოესი ქალწული კაც-
თა ხსნისათვის, უფლდს
ძღვნად შობილი და შენი-
რული.

ღვთისმშობელი განსა-
კუთრებული სინწმინდით,
სიყვარულით, თავმდაბლო-
ბით და სიკეთით ცხოვ-
რობდა ამ ქვეყნად.

ყოვლადწმინდა ღვთის-
მშობელი აღესრულა მაც-
ხოვრის ამაღლებიდან მე-
17 წელს, 15 (ახ. სტილი 28)
აგვისტოს. მისი აღსასრუ-
ლი, ისევე როგორც ამქვეყ-
ნიური ცხოვრება, ღვთის
ნებამ წარმართა. ნუთი-
სოფლის დატოვება მას სა-
მი დღით ადრე ამცნო მთა-

ვარანგელოზმა გაბრიელ-
მა. ეს შეტყობინება ისეთი-
ვე სიხარულის მაუნყებე-
ლი იყო, როგორც ხარება,
„უფალი შენთანა“! ამიერი-
დან ღვთისმშობელი აღა-
რასოდეს განეშორებოდა
თავის ზეციურ ძეს და
უფალს ჩვენსას, იესო
ქრისტეს. ღვთისმშობელი
აღესრულა წმინდა იოანე
ღვთისმეტყველის სახლში,
სადაც იგი მაცხოვრის
ჯვარცმის შემდეგ ცხოვ-
რობდა. თავისი აღსასრუ-
ლის წინ მან გამოსამშვი-
დობებლად მოუხმო მაც-
ხოვრის მოციქულებს და
მონაფეებს, რომ ლე ბი ც
სხვადასხვა ქვეყანაში იყე-
ნენ საქადაგებლად წასუ-
ლი. ყველა მოვიდა თომას
გარდა. ყოვლადწმინდა
ღვთისმშობელი ისეთი სა-
ოცარი სიმშვიდით გარდა-
იცვალა, რომ იქ მყოფთ
იგი მიძინებდად აღიქვენს.
აღსასრულის ბოლო ნუ-
თებში ოთახი უჩვეულო
ნათებამ გააბრწყინა, თა-
ვად მაცხოვარი გამოცხად-
და ანგელოზთა თანხლე-
ბით დედა ღვთისმშობლის
სულის ზეცად ასამაღლებ-
ლად, ხოლო სხეული მისი
მოციქულებმა ხელში ან-

(დასასრული მე-15 გვერდზე)

19727

გიორგი ქართველიშვილი გახლავთ ქართველი პოლიტიკოსი, ავტორი წიგნისა „როგორც იქნა, ჩემი წიგნი...“ ხანტერესოა, რომ მას ამ წიგნის დაწერა ფაქტიურად ორჯერ მოუხდა. ეს წიგნი გ. ქართველიშვილმა დაწერა ჯერ კიდევ 70-იან წლებში. სსრკ-დან გახვლისთვის ბრძოლის პერიოდში.

წიგნის ხელნაწერი და სხვა მასალები თავისი ბრძოლის შესახებ საბჭოური შევიწროებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ავტორმა 1971 წელს გადასცა „ახოშეიტედ პრესის“ კორესპონდენტს მოსკოვში. საჩინკო საქმე გახლდათ ეს — კორესპონდენტი რომ სუკის აგენტი აღმოჩენილიყო. ქართველიშვილს ველარაფერი იხსნიდა, მაგრამ არსებობდა იმედი: თუ ხელნაწერმა დასავლეთში ჩააღწია, მაშინ წიგნის ავტორს დახმარების ხელს გამოუწვდიან.

ამის შემდეგ გ. ქართველიშვილმა 2 წლის განმავლობაში წიგნის შესახებ სრულიად არაფერი იცოდა. დასავლეთიდან დახმარება არ მოსულა, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ამერიკელი კორესპონდენტი აღმოჩნდა რაიმე კავშირში სუკ-თან. საშველი უეცრად და მოულოდნელი მხრიდან მოვიდა. ებრაულმა გამათავისუფლებელმა ტალღამ და, კერძოდ, ქართულმა. გიორგი ქართველიშვილი სამშვიდობოს გაიყვანა.

ბუნებრივია, რომ ავტორს აინტერესებდა ამერიკელი კორესპონდენტისათვის გადაცემული თავისი ხელნაწერის ბედი. მიმართა კიდევ „ახოშეიტედ პრესის“ ხაკორესპონდენტო პუნქტს თელ-ავივში, მაგრამ იქ ამ საქმის გამოძიებას თავი აარიდეს.

გიორგი ქართველიშვილი ეცადა, მაგრამ ვერ შეძლო ხელნაწერის ასლის საზღვარგარეთ გატანა. ამიტომ იგი იძულებული გახდა, თავისივე წიგნი თავიდან დაეწერა. გიორგი ქართველიშვილის „როგორც იქნა, ჩემი წიგნი...“ ჩვენს შურნალს მოაწოდა ავტორის ძმამ. ბატონმა კუყურს ქართველიშვილმა. გთავაზობთ ერთ-ერთ თავს ამ წიგნიდან.

მთარბმნეაისაბან



ვეყნად არ არსებობს ისეთი ბრძოლა, რომელშიც წინასწარ არის ცნობილი ყველა „შანსი“ (ლენინი). მაგრამ რა დაეარქვათ ისეთ ბრძოლას, რომელშიც ყველა „შანსი“ საეჭვო აღმოჩნდება? მხოლოდ სიცრუე!

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია!“ უფრო სწორი იქნებოდა, დიდი ოქტომბრის სოციალური სიცრუე დაერქვიათ! იცოდა კი ძველი რუსეთის იმპერიის მოსახლეობამ, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად, იგი ყველაფერს დაჟარგავდა, ქონებით დაწყებული და ელემენტარული უფლებებით და თავისუფლებით დამთავრებული? არ იცოდა! არც შეიძლებოდა. რომ სცოდნოდა! დიახ, ყველაფერი რაც რევოლუციამდე იყო, რაოდენ პრიმიტიულად, ფანტასტიკურად, ანდა უტოპიურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ის მაინც მხოლოდ თეორიული განზოგადება და სუბიექტური თვალსაზრისის ასახვა. ყოველივე ეს არაფრით არ ჰგავს შემდგომში დატრიალებულ საშინელებას, კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას რომ მოჰყვა.

სიცრუე და სიმართლე, თუმცა შეუპოვებელი მტრები არიან, ძალიან ხშირად ერთ ჭერქვეშ თავსდება. პირველად ოქტომბრის რევოლუციამ გამოამჟღავნა კომუნისტების ნამდვილი ბუნება, რომელთათვისაც სიცრუე სიმართლესთან ანტაგონიზმში კი არა,

არამედ კეთილთანხმობაში და ურთიერთშეთანხმებაშია. მათ ახასიათებთ ყველაზე მძვინვარე და დაბალი ცხოველური ინსტიქტები. რაც კი შეიძლება გააჩნდეს ადამიანს. შემდგომში სტალინი ამტკიცებდა, რომ კომუნისტები „განსაკუთრებული აგებულების ადამიანები არიანო, ისინი განსაკუთრებული მასალისგან არიანო გამოჩარხულნი“ და ა. შ. ეს იყო ერთადერთი სიმართლე, რომელიც მას წამოცდა მთელი მისი სიცრუითა და ტყუილით სავსე ცხოვრების განმავლობაში. სრული სიმართლეა — კომუნისტები ერთნაირნი არიან, ყველანი ერთმანეთს გვანან: სულით, ხასიათით. საქციელით. ყოველად წარმოუდგენელი, ზნეობრივი სიმახინჯეებისადმი მიდრეკილებით... ყველაფრით. ასეა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მოსკოვიდან ჰავანამდე, სანტიავოდან სიდნეიმდე, პეკინში, რომში, პარიზსა და ბერლინში. არა, არა! საქმე გარკვეული იდეოლოგიის ერთგულებაში კი არაა, არამედ გარკვეული კატეგორიის ადამიანებში, რომლებმაც მარქსისტული იდეოლოგიის მრუდე სარკვეში საკუთარი თავი იპოვეს. ისინი არსებობდნენ და არსებობენ იდეოლოგიის მიღმა. ეს ობიექტური სინამდვილეა! იდეოლოგიამ მხოლოდ ინდიკატორის როლი შეასრულა, რომელმაც აღმოაჩინა მათი ბუნება და ნათესაური ჯაჭვით ერთმანეთს გადააბა. ესენი არიან უსინდისო მლიქვნელები და თვალთმაქცები, რომლებიც მიმართავენ დემაგო-



გიურ დაპირებებს და მოწოდებებს, სანამ ძალაუფლებისაკენ მისწრაფიან, ხოლო ჩაიგდებენ თუ არა ძალაუფლებას ხელში, უმაღლვე ამჟღავნებენ თავს, როგორც სისხლისმსმელი ცინიკოსები. მათი მახვილი — ვერაგობაა! სიცრუე, აი, ფორმულა, რომლითაც წყდება ყველა მათ წინაშე მდგარი ამოცანა.

კომუნისტების პირველი დიდი და უნამუსო აქცია ის იყო. თებერვლის რევოლუციას რომ მიეტმასნენ. რომელმაც მეფის ხელისუფლება დაამხო. შემდეგ, როდესაც მთავარი დაბრკოლება მეფის ხელისუფლება ჩამოიშორეს, ვერაგული დარტყმა მიაყენეს ზურგში გუმინდელ მოკავშირეს, ბურჟუაზიულ დემოკრატიას და ჩააგდეს ქვეყანა ჯერარნახუ-

ლი ქაოსისა და გაჩანაგების მო-
რევში. რა მათი საქმეა ხალხი და
ქვეყანა! ისინი მიისწრაფოდნენ
ძალაუფლებისკენ და ამ მიზნის
მისაღწევად ყველაფერი გამოიყუ-
ნეს. და მართლაც, ბოლშევიკების
პირველივე ნაბიჯი ვერაგული იყო.
ბოლშევიკებმა შესძლეს მსხვილი
ავანსის მიღება და თავისი პოლი-
ტიკური მდგომარეობის ლეგალი-
ზაცია. პოლიტიკური ცინიზმის
მეშვეობით მიზნის მიღწევა მათ-
თვის გამოდგა მავალით, შემდეგ
ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ
ცინიკურად, მათთვის ალტერნა-
ტივა არ არსებობდა და საკუთარ
მიზნებს ყველანაირი გზით აღწე-
ვდნენ.

ცდებოდნენ ისინი, ვისაც ეგო-
ნა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის
მძიმე პირობები, რომლებიც კო-
მუნისტებმა მიიღეს ლენინის მე-
თაურობით, ნიშნავდა რუსეთის
იმპერიულ სურვილებზე უარის
თქმას და ბოლშევიკების შერიგე-
ბას ტერიტორიულ დანაკარგები-
სადმი. ბოლშევიკებს მხოლოდ სუ-
ლის მოთქმა სჭირდებოდათ. სხვა
შემთხვევაში შეიძლება მათ ძალა-
უფლებაც და თავიც დაეკარგათ.
მათ მხოლოდ ნაკლები ბოროტება
აირჩიეს — ზავი დადეს, რათა შე-
ესვენათ, მოლონიერებულებდნენ
და მერე თავიდან მოეპოვებინათ
„დაკარგული“. და მართლაც, შე-
მდგომში, როგორც თვალათლივ
დარწმუნდა მთელი მსოფლიო,
ბოლშევიკებმა კვლავ დაიპყრეს
არა მხოლოდ ადრე დაკარგული,
არამედ მოიპოვეს ახალი ტერი-
ტორიები და განაგრძობენ იგივე
გზით სიარულს.

ძალაუფლების მოპოვება მ დე
კომუნისტებს თუ კიდევ რჩებო-
დათ რაღაც ფასეულობები, მო-
რალური, პრინციპული, იდეოლო-
გიური თუ უბრალო ადამიანური
ხასიათისა, ძალაუფლების ხელში
ჩაგდების შემდეგ, მათ უარი
თქვეს ყველაფერზე, გარდა ერ-
თისა: რაღაც არ უნდა დაჭლო-
მოდათ, გამაგრებულიყვნენ ხე-
ლისუფლების სათავეში და შე-
ენარჩუნებინათ თავიანთი გაბა-
ტონებული მდგომარეობა. რა
იდეალი, რის მატერია? რომელი
სული? სისულელეა ეს ყველაფე-
რი! მხოლოდ და მხოლოდ მოპოვე-
ბულის ჩაბლაუქება და ყველა-
ფერზე წასვლის მზადყოფნა, ყვე-
ლასი და ყველაფრის გამოყენება,
რათა მოპოვებული შეინარჩუნონ
და შემდეგ განაგრძონ თავიანთი
გავლენა. თუ საჭირო იქნა მიმარ-

თონ ღმერთს! დასჭირდებათ და
სატანასთან შეკრან კავშირი! ეჭვი
არ შეგებაროთ: თუ დასჭირდათ,
სისხლით მორწყავენ მთელ ქვე-
ყანას, მილიონებს აწაძებენ,
ხალხს მშიერს შოკლავენ, ათასო-
ბით ადამიანს საფლავებში ჩა-
ყრიან, ყველაფერს გააკეთებენ,
რათა სათავეში ძყოფნი გამაგრდ-
ნენ, ფეხი არ დაუტეოდთ და არ
დაეცნენ. და აი, ასეთი „უწყინა-
რი“ ნათესის შემდეგ დადგა ნა-
მდვილი კომუნისტური საძკალი.
ქვეყანა გართმული იყო ნგრე-
ვის, სისხლისღვრის, შიმშილისა
და რევოლუციური ქარიშხლის
წყვდიადში. ბურჟუაზიულ-დემო-
კრატიულმა ახალგაზრდა რუსეთ-
მა ნაადრევად განუტევა სული
და მის მაგივრად დაიბადა ახალი,
აქამდე ჯერ უნახავი და გაუგონა-
რი ახალგაზრდა ტირანია — პრო-
ლეტარიატის დიქტატურა. რუსუ-
ლი კომუნისტი შედარებით სწრა-
ვად დაიბადა; მაგრამ რამდენი
საუკუნე დასჭირდება მის სიკვ-
დილს? და თვით ვადასაც კი არა
აქვს იმდენი მნიშვნელობა, არა-
მედ იმ საფასურს, რაც გადასახ-
დელი იქნება მის დასამხობად,
ანდა მისი ზემოქმედების მთელს
მსოფლიოში. მის ბუნებრივ ჩაქ-
რობაზე, ანდა ცვლილებაზე ლა-
პარაჟიკი კი ზედმეტია! დასავლე-
თის პოლიტიკურ აზრს მხედვე-
ლობიდან გამორჩა რუსეთში მო-
მხდარ ცვლილებათა ერთი არსე-
ბითი დეტალი. კერძოდ, ის, რომ
დიქტატურამ ანუ ძალადობამ და
ტირანიამ, სასიკვდილო მარცხი
მიაყენა დემოკრატიასა და თავი-
სუფლებას. დასავლეთი მაშინაც
ყრუ და ბრმა დარჩა, როცა მას
დახმარებით მიმართავდნენ, სა-
შველად ეძახდნენ და აფრთხი-
ლებდნენ მოსალოდნელი საბე-
დისწორი შედეგების გამო, მაგ-
რამ ყველაზე საოცარი ისაა, რომ
ახლაც, ჩვენ დროში, კომუნისტუ-
რი რუსეთიდან მომავალი ამდენი
საგრძობი დარტყმის და უშუ-
ალო მუქარის შემდეგ, დასავლე-
თი ისეთივე გულუბრყვილო და
ქკუამოკლე ლიბერალად დარჩა,
როგორიც იყო.

ორჯერ წარმოიქმნა განსაკუთ-
რებული შესაძლებლობა, ბოლო
მოვლოთ ამ სატანური ნარგავისა-
თვის. გერმანია ორჯერ ახლოს
იყო მასთან, რომ ბოლო მოვლო
კომუნისტური სენისათვის, მაგ-
რამ ორჯერვე ანგლოსაქსურმა
ანტიპატიმ გერმანელებისადმი
და შიშმა მისი ინტელექტუალურ-

დინამიური და სულიერ-ფიზიკუ-
რი სიმძლავრის წინაშე ჩაშალა
ყველა შესაძლებლობა და ცდა ამ
განხრით. მესამეჯერ, ჩემი აზრით,
ანგლო-საქსებს თვითონ მოუწევთ
შებმა რუსულ კომუნისტიან. თუ
როგორ მოუვლიან ისინი ამ საქ-
მეს, ჩვენ ვნახავთ ამ საუკუნის
ბოლომდე ან ცოტა მოგვიანებით.

კომუნისტიან ისარგებლა ორი
ცრუ მტკიცებით: ერთი იდეოლო-
გიურია, საზოგადოების განვითა-
რების ახალი კანონების აღმოჩე-
ნის შესახებ და მეორე პრაქტიკუ-
ლი — დაადანაშაულეს თებერვ-
ლის ბურჟუაზიულ-დემოკრატი-
ული რევოლუცია იდეებისადმი
ღალატში. და ორივე ეს სიცრუე
სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.
მაგრამ ერთხელ ტყუილის თქმის
შემდეგ უკანდახევა აღარ შეიძ-
ლებოდა და დაიწყო! ზავი გერმა-
ნიასთან, დროის მოვების მიზნით.
მუშათა კლასისა და ღარიბი გლე-
ხობის არა თუ გათავისუფლება,
არამედ მათი კაბალაში ჩაყენება
და მათი ნამდვილ მონებად გადა-
ქცევა. ის, რაც მეფის დროს იყო,
ბევრი მუშისათვის და გლეხისა-
თვის საოცნებოდ დაკარგულ ბედ-
ნიერებად იქცა. რომელი სოცია-
ლიზმი? გაქრა ყველაფერი და
ყველგან დაისადგურა შიმშილმა-
ავადმყოფობამ, ტიღებმა და მტან-
ჯველმა სიკვდილმა. მიუხედავად
ყველაფრისა, კომუნისტებისათვის
პირველი საფიქრალი და საზრუ-
ნავი თავიანთი ხელისუფლების
შენარჩუნება და განმტკიცება
იყო. ქვეყანა სამხედრო ბანა-
კად იქცა. ახალგაზრდა მუშებსა
და გლეხებს მიერეკებოდნენ ნა-
ჩქარევად შექმნილ წითელ არმი-
აში. ხალხს ართმევდნენ ყველა-
ფერს, განსაკუთრებით ქონებას,
რომელიც შეიძლება გამოყენე-
ბულიყო დიქტატურის გასაძლიე-
რებლად, შინაგანი წინააღმდეგო-
ბის ჩასახშობად და გარეშე შეტე-
ვების მოსაგერიებლად, თუ ისინი
განხორციელდებოდნენ.

გლეხებს პურის ნაკერსაც კი
არ უტოვებდნენ, მათ სასიკვდი-
ლოდ სწირავდნენ, ასეთი იყო
კომუნისტური სოციალიზმის „ელ-
ვარება“.

კომუნისტური ფორმულის ასე-
თი მორალით, ბოლშევიკები შე-
უდგნენ ყველა სახელმწიფო და
საზოგადოებრივი პრობლემის გა-
დაწყვეტას და მიუხედავად ხალხ-
თა მასების უმძიმესი მდგომარე-
ობისა, რომლებიც მოკლებულნი
იყვნენ ყველაზე ელემენტარულ
პირობებს ადამიანური არსებობი-

სათვის. მიუხედავად შიმშილისა, საშინელი ეპიდემიებისა, ნგრევისა და ომისა, რომელსაც მილიონობით ხალხი ეწირებოდა, და მიუხედავად წითელი ტერორისა, რომელიც ღუპავდა ინტელექტუალურ-პროლეტარულ ფენას მთელი რუსეთის ლაიბ-ლატაკნი ბოლშევიკებს მიემხრნენ. დამშეულ და გაპარტახებულ რუსეთში სამხედრო კომუნიზმმა თოფი დააკავებინა ხელში 3 მილიონ სულს, მაშინ როცა მთელმა დასავლეთმა, პლიუს შინაგანმა კონტრრევოლუციამ, ნახევარმილიონიანი არმიის შეკრებაც კი ვერ შეძლო. წითელი არმიის ეს სამილიონიანი ზევი მზად იყო, თავის გზაზე ყველა და ყველაფერი მიეგრიდა, წაელეკა და სისხლში ჩაეხშო წინააღმდეგობის ნებისმიერი კერა.

როგორ მიაღწიეს ამას ბოლშევიკებმა? მათ მოარგეს გასაღები ფართო მასების გულს, გადაიბირეს ისინი თავის მხარეს არა მხოლოდ იდეოლოგიური ზიზილ-პაპილოებით, არამედ ვითომდა ხალხთან შერწყმის ცრუ სამზადისით. თეთრი ხელთათმანებისა და მაღალი საყელოების ნაცვლად, მასებმა დაინახეს უბრალო გიმნასტურებსა და ფარაჩებში გამოწყობილი კომუნისტები, რომლებიც მათთან ერთად ერთიდაიგივე ქვაბიდან ჭამდნენ და სვამდნენ. ასე გამოიყურებოდა „ნამდვილი“ ამხანაგობა და ძმობა იმათ თვალში, რომლებიც თავად-თა, მემამულეთა და აზნაურთა საუკუნოვანი კაბალისაგან იტანჯებოდნენ. ხალხმა დაუჭერა კომუნისტებს და გაჰყვა მათ. სამი მილიონი გული, რომელიც ალტაცებით ფეთქავდა ჯარისკაცის ფარაჩებქვეშ, მზად იყო, შეეწყვიტა გულისცემა სოციალიზმის საქმისათვის. კომუნიზმმა გადააყრავა ყველა ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები და გამარჯვებული გამოვიდა აქამდე არნახულ ბრძოლაში.

კომუნიზმის წარმატების მთავარ იარაღად რჩებოდა, რჩება და კვლავ დარჩება პერმანენტული სიცრუე მიწიერ სამოთხეზე.

დაივიწყეს რა მათ მიერვე დაპირებული კომუნისტური სამოთხე, ისინი წარბეჭდულად ერთ ლამეში გადავიდნენ რეალურ, ჯოჯოხეთურ-სატანურ სამხედრო კომუნიზმზე. რა საჭირო იყო ეს მაღალფარდოვანი მანიპულაციები, მასებისთვის გაუგებარი სიტყვე-

ბით: „სოციალიზმი“, „კომუნიზმი“, „სამხედრო კომუნიზმი“ თამაში? ოპ, ეს კომუნისტები, ისინი დაბადებით მისტიფიკატორები არიან! საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია ერთი მთლიანი და ეფექტური მისტიფიკაციაა.

ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ადამიანთა გონებაში შეექმნათ ახალი ილუზია პირველადი კომუნიზმის ტრანსფორმაციის შესახებ, რათა კვლავ მოეტყუებინათ საკუთარი ხალხიც და დასავლეთიც.

იგივე განმეორდა სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნიზმის დროსაც. თავზხელალებული ადმინისტრირებით და წარმოების მთლიანი დესტრუქციით, სამხედრო კომუნიზმმა მალე ისე გააჩანაგა ქვეყანა, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლების არსებობისთვის წარმოქმნა საშიშროება, იგრძნეს რა სასიკვდილო ხიფათი, ბოლშევიკებმა მსწრაფლ უკან დაიხიეს; გარდაიქმნენ და დროებით შენიღბეს თავისი თეორიული და იდეოლოგიური ამბიციები. ისინი უბრალოდ დაუბრუნდნენ კაპიტალისტურ ურთიერთობას, რომლის არსიც იყო, არის და იქნება კერძო საკუთრება. როგორ უნდა აეხსნათ ეს მეტამორფოზა ხალხისთვის და მითუმეტეს დანარჩენი მსოფლიოსათვის?

ამრიგად, კომუნიზმი, რომელმაც ძირფესვიანად მოთხარა ახალგაზრდა და დინამიური კაპიტალიზმი რუსეთში, რაღაც სამი წლის შემდეგ აჭლებული იყო მასვე დაბრუნებოდა.

მხოლოდ მაშინ, როცა სტალინი დაწმუნდა, რომ მისი ძალაუფლება მთლად უსაზღვრო არაა, მან გადაწყვიტა, მთელი საბჭოთა ხალხი კოლექტივიზაციის და სამხედრო-პოლიტიკური ინდუსტრიალიზაციით დაეებორკა.

კარგია ძალაუფლება, მაგრამ უსაზღვრო ძალაუფლება კიდევ უკეთესია!

აქვე ვიტყვი, რომ ე. წ. „ნეპ“-ი კიდევ ერთხელ იყო ამუშავებული მეორე მსოფლიო ომის დროს. სტალინს უკვე აღარც დრო ჰქონდა და არც სჭირდებოდა მისთვის კიდევ რაიმე ახალი სახელი დაერქმია, რადგან ამ დროისათვის ის უკვე იყო ერთპიროვნული დიქტატორი, არა მხოლოდ რუ-

სული, არამედ მთელი მსოფლიო კომუნიზმისა. მას ვერაფერ მოსთხოვდა პასუხს ნამოქმედარზე. ხელისუფლების თანხმობით მაშინ კვლავ ყოფილა დაშვებული კერძო წარმოება. ამრიგად, როგორც კი საბჭოთა სისტემა მიიყვანდა ქვეყანას კატასტროფამდე, კომუნისტები იმწამსვე უბრუნდებოდნენ მაცოცხლებელ კაპიტალისტურ სისტემას, რომელსაც გამოჰყავდა ქვეყანა აგონიიდან და სიცოცხლისუნარიანს ხდიდა. და თუ ეს ასეა, რაღა საჭიროა ამდენი წვალება? რატომ არ დაუშვებენ იმ სისტემას, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი საიმედოობა?

საკვირველი პარადოქსი გამოდის: თუ რიგითი საბჭოთა ადამიანი (ძირითადად რუსი) უმეტეს შემთხვევაში უგერგოლოა, დამჯერია, განურჩეველია და მფრთხალია, ამას ვერ იტყვი უმადლესი კომუნისტური ელიტის წარმომადგენლებზე, ამ თავნება მაკიაველისტებზე, რომელთაც ძალიან კარგად უწყიან, რომ თუ ისინი დაუშვებენ იმ სისტემას, რომელიც უხვად აავსებს ხალხს, კიდევ საკითხავია, მოისურვებს თუ არა დაპურებული ხალხი გაუმადლარი ტირანიის ქვეშ ცხოვრებას? საბჭოთა სისტემას არ შეუძლია ხალხის მატერიალურად უზრუნველყოფა. კაპიტალისტური სისტემა კი ეწინააღმდეგება კომუნისტების პოლიტიკურ ხელისუფლებას. ამიტომაც ახრჩობს კომუნიზმი ადამიანს. გაკვირებაში ამყოფებს მას, აიძულებს დაწვირილმანდეს. ადამიანი შიმშილობს, მაგრამ ეშინია ამის თქმა. იგი უკვე ზის გიგანტურ ციხეში, მაგრამ აკანკალებს აზრისაგან, რომ ის შეიძლება ჩასვან პატარა, უფრო ვიწრო საკანში. ზემოდან მოსული ბრძანებით საბჭოთა ადამიანი შეუდრეკელი გმირია, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადამლახავი, თვით სიკვდილსაც მამაცურად ეგებება. მაგრამ საკუთარი სინდისის, საკუთარი გონებისა და ღირსების კარხანით იგი ხელსაც ვერ ვაანძრევს, იგი მფრთხალია და გაუბედავი, მას საკუთარი ჩრდილის ეშინია. ასე ძალღუმადღურად ცხოვრობს საბჭოთა ადამიანი და მიათრევს თავის ჭაბანს და არც ღმერთი, არც ქვეყანა მისი მშველელი!

უნივერსიტეტში მდიდარმა და ენერჯეტიკული მარაგით ღარიბმა წლებადღობა წამთარმა ბევრს გაახსენა და გამოაძეხნინა სარდაფსა თუ სათავსოს კუნძულში უკველი შემთხვევისთვის გადანახული დამტვერილი ნავთის ლამფა. ხოლო ვინც „ილიჩის ნათურამ“ გააბრწყვა და ვითომდა ამ უკვე უსარგებლო ნივთს, ლამფას, თავის დროზე სასტიკი განაჩენი გამოუტანა და სანაგვეზე

უწვდენელ სივრცეებზე ასე განუკითხავად მრავლდებოდა „მსოფლიოში ყველაზე დიდი, შიში, მაღალი თუ გრძელი“ მეფე-წარბაზანი, წარი, ბიდროლექტროსადგური; კაშხალი, სარკინიგზო მაგისტრალი, გაწადენი, ტურბინები, ატომური ელექტროსადგურები, კოსმოდრომი, სვიალაინერი, დიდების მემორიალი, ტრაქტორი, გოგირდის კომბინატი, მსხვილფეხა პირუტყვის სასუფი კომპლექსი, მე-



მეკროედექტროსადგურები?

გადაადლო, ახლა თავუდ-მოგლეჩილი დარბის მაღაწია-მაღაწია მის საძებრად! ცხადია, ასევე ძნელი საშოვარი გახდა თვით ლამფის შუშა, ნავთი, იაფფასიანი რიგიანი შანდალი... ელექტრებს ხომ ნულა იკითხავთ: დღეს, ალბათ, ძნელად მოიძებნება ისეთი ძაწი, სადაც სტეარინის სანთლების განსაცვიფრებელი მარაგი არ ჰქონდეთ შენახული! რას იწამ, ვერც გამბტუნებ, რადგან ნათქვამია: გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.

უცქერით უბრალო ლამფის ერთი ლიტრი ნავთისა თუ სანთლის საშოვნელად წევით-ქვევით მორბენალ აფორაქებულ მოყვასს და გული სიბრაღულით, სინანულითა და ჭავრით გვეხებათ: აბა, სადა არის ილიჩის „გენიალური“ გეგმის ნაყოფი მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ? ანდა, რა მოგვიტანეს „მსოფლიოში ყველაზე დიდი“ ბიდრონები, რომლებითაც ასერიგად თავს ვიწონებდით? თანაც საშუალოს, წომიერს, მოკრძალებულსა და აატარებს ხომ თითქმის არაფერს კვადრულ მეტრში. დე, წამგებანი, არარტებაელური, უსარგებლო, საშიში და ძვირადღირებული გამოდგარყო, ოღონდ კი გიგანტურ-გრანდიოზული, შთაბეჭდავი და გამაოგნებელი უოფილიყო! ამ უბედური იმპერიის თვალ-

ტალურგიული, სარწყავი არხი, ატომური უნიულ-მჭრელი და თვით ახანთის კოლოფიცი კო... წომიერება ნაკლად, შეცდომად, კომუნისტური (უფრო სწორად იმპერიული) იდეალებისადმი დაღატად ითვლებოდა. არა, ჩვენი ყველაფერი „მსოფლიოში ყველაზე დიდი“ უნდა უოფილიყო! დღესდა ირკვევა, რომ ეს წეიშპერიის პროპაგანდის გულუბრყვილო მეთოდი იყო და ამ „ყველაზე დიდი“ გარეთ „მეტრს“ ვუბრძალებდით თვალმებს, შინ — მოკეთეს, არხები-თად კი ამ უაწრო გიგანტოშანიით ჩვენი უკეთური რეჟიმის უპირატესობის დამტკიცებას და მის გაბერვას ვლამობდით. ტყის კი, მოგეხსენებათ, მაშინ ბერავენ, როცა იგი ცარიელია. და აბა, ქვეყნად „ყველაზე დიდი, მაღალი და უნიკალური“ კაშხალ-სარკინიგზო მაგისტრალი, ენერჯეტიკული სურსებით უმდიდრეს დედაშიწის ერთ მეექვსედზე უკვენოდ გადაშხლართული იმპერია-ტიკი გაკვირვებულნი და ერთობ შეფიქრანებული მსოფლიოს თვალწინ ქშუტუნ-ბოყინით იჩუტება და მისი ბუდეშოშლილი, დაშეული და აწიოკებული ქვეშევრდომნი ლამწვისა და თითო-თითო ჭიჭანავთის საშოვნელად თავ-ქუდმოგლეჩილი დავრბივართ.

მაგრამ მომავლადვმა იმ-

პერიამ თავისი თავი თვითონ იტიროს, ჩვენ როგორ მოვიქცეთ — რა წყალს მივცეთ თავი, როცა ენერჯეტიკული კრიზისი გრძელდება და როგორც მოვლენები მოწმობენ, მომავალში კიდევ გაღრმავდება და უფრო ხშირ-ხშირად მოგვიწვევს სიბნელიეში ჯდომა.

„მსოფლიოში უნიკალური ენერჯეტიკის მაღალი კაშხალი“ — ღმერთო, რამდენი ეროვნული ენერჯია, სახსრები, დრო, აქოჩრილი ტყუები, წინაპართა ნავალი ბილიკები, ლიტერატორთა და ზელოვანთა ტალანტი ვამსხვერპლეთ მის მშენებლობასა და ხობტა-ქებას! შედეგი? თუმცა თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს, ვინაიდან ამაჩა უწველებსა რა და მოდით, ასეთნაირად დავსვთ საკითხი: გასამხედროებულ იმპერიას ენერჯეტიკის სახით თუ მართლა სჭირდებოდა „მსოფლიოში უნიკალური მაღალი კაშხალი“, თავში ქვა ეხალა, აეშენებინა, მაგრამ ერთი ენეც ვიკითხოთ — ამ წვრილ-წვრილ მესხებს რაღას ერჩილდა? დე, იხინიცი უოფილიყო! მმ, აბა, იმპერია რიდას იმპერია იქნება, თუ ყველას და განსაკუთრებით კი დაპრობილი, მცირერიცხოვან და თანაც ურჩ ერებს ცხოვრება და ეკონომიკა არ აუწეწა და ყველაფერი თავდაყირა არ დაუყენა?

— ფაქტორად ასე დემარტო საქართველოს მცირე მესხებსაც, — გულისტკივილით ამბობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექანიწაციისა და ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსი თენჯიზ იაშვილი, — როგორც ბევრ რამეში, ისე ბიდროლექტროსადგურების მშენებლობაში გიგანტოშანიით გატაცებამ თავის დროზე განუკითხავად გააჩერა სასოფლო წარმოების ბალანსზე მყოფი რესპუბლიკის ყველა 138 მცირე მესხი. მაგრამ გიგანტოშანიამ არ გამართლა და დღეს, როცა ენერჯეტიკულმა კრიზისმა უელში წაგვიკირა, კვლავ გავიხსენეთ მცირე მესხები. სამწუხაროდ, იმ ანოცდათქვსმეტიდან მოლოდ 40 მათგანის აღდგენადა თუ შეიძლება... და მაინც გულახდილად უნდა ითქვას — მცირე მესხი ვერ შეედრება მიკრობიდროლექტროსადგურს.

ეს რა მიკრობიდროლექტროსადგური გვიხსენას სტეციალისტმა?

შარშან იანვარში გლდანის სახალხო დეპუტატთა რაიხაბტოს აღმასკომთან მუნიციპალურ საწყისებზე შეიქმნა სამეციერო საწარმოო ფირმა „ელიტა“ (ელექტრო და ინფორმაციული ტექნიკა). მისი მრავალფეროვანი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მიკროენერჯეტიკაა. ფირმის თანამშრომ-



დებმა გაითვალისწინეს რარესპუბლიკის რთული პოლიტიკური-ეკონომიკური მდგომარეობა და კერძოდ, ენერგეტიკული კრიზისი, დაიწყეს მისი დაძლევის გზების ძიება. აი, ასე დაეხმად მისიკოპირდროექტროსადგურის შექმნის იდეა.

პრობლემით დაინტერესებული ფირმის ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივი გულდასმით გაეცნო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტროავტომატიზაციის კათედრის გამგის არჩილ ვაშაქიძის მასალებს და ურადღებდა ათკილოვატიანი სიმძლავრის მიკროპირდროექტროსადგურზე შეაჩერეს. ახალი მანქანის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფირმის გენერალურმა დირექტორმა კობა ნაფეტვარიძემ, მისმა მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში როლანდ კვიციანიძემ და მიკროენერგეტიკის განყოფილების გამგემ ქემალ მდივანმა.

და აი, წლებულს, გაზაფხულზე მათ მიერ ხორც-შესხმულმა მიკროსადგურმა ენერგეტიკისა და ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბრწყინვალედ გაიარა ლაბორატორიული გამოცდა.

ახალი, ათკილოვატიანი მიკროსადგურის წონა 150 კილოგრამია, სიგრძე — 1,5 მეტრი. მიკროპირდროექტროსადგურის ტრანსპორტირება და მონტაჟი იოლად იქნება. მისი ძირითადი მომხმარებელი სოფელი, სოფლის მეურნეობა იქნება. თუმცა მასზე არც გეოლოგები, მომთაბარე მეცნიერებლები, ნავთობმომპოვებლები, ტურისტული ბაზები, მთებში განლაგებული მეთროსადგურები, ფერმები თუ ბრიგადები იტყვიან უარს. ახალი მიკროსადგურის მიერ გამოშუშავებულ ელექტროენერგიას თავისუფლად შეუძლია დააკმაყოფილოს ოთხი ოჯახის მოთხოვნილება. იგი იმითაცაა შესანიშნავი და ზემოწმობადი, რომ მისი დადგმა შეიძლება მდინარის

(რომლის წყლის ხარჯი წამში 200 ლიტრია) ნებისმიერ მონაკვეთზე და ნებისმიერი რაოდენობით. თან მას არ სჭირდება მუდმივი მომსახურე პერსონალი და რაც მთავარია, ეკოლოგიურად სუფთა და უვნებელია. ასეთი სიახლე განსაკუთრებით ზედგამოჭრილია საქართველოს რთული რელიეფური პირობებისათვის.

— რა დასამალია, ჩვენი რესპუბლიკა ელექტროაღჭურვილობა-მოწყობილობების რაოდენობის მიხედვით კავშირში ბოლოდან მეორე ადგილზეა. — შენიშნა არჩილ ვაშაქიძემ. — მაგრამ ბევრიც რომ გეგონდებ მსგავსი დანადგარ-მოწყობილობები, მაინც ვერ გამოვიყენებთ სრული დატვირთვით, ვინაიდან ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განვიცდით ყველგან. ელექტროენერგიის გარეშე კი ვერავითარი ელექტრომოწყობილობა ვერ იმუშავებს. ამიტომ ათკილოვატიანი მიკროპირდროექტროსადგურების შექმნა, შეიძლება გადაუჭარბებულად ითქვას, რომ ნამდვილი ეროვნული საქმეა, რომელიც, თუ ფართოდ გავრცელდა, პირდაპირ გაჭირვებიდან გამოგვიყვანს. არავის ეგონებ, რამეს ვაწვიადებდე. საქმე ისაა, რომ მთიან რაიონებში დღესაც ბევრგან აუნდენელი ცნებად აქვთ გადაქცეული ელექტროენერგია. მკითხველს ისიც მოეხსენება, რთულ კლიმატურ-რელიეფურ პირობებში რა ძნელი და ძვირია ყველა ხეობასა თუ ფერდობზე ელექტროდენის ტრადიციული გზით მიყვანა. ამიტომ მიკროპირდროექტროსადგური პირდაპირ გაჭირვების ტალკვებად მოგვედინებდა, რომლიდანაც ელექტროენერგიით ხარგებლობა შეუძლია როგორც საწარმოო, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნებისმიერ მოწყობილობას. მათ შორის, რა თქმა უნდა, ტელევიზორსაც, რომელსაც რთული პრინციპული სქემის გამო მაღალი ხარისხის

ელექტროენერგია ესაჭიროება.

ფირმის მიერ ჩაფიქრებული მიკროსადგურის ხორც-შესხმისათვის საჭირო სოლიდური თანხა გაიჯოლანჩხუთის აგროფირმა „თაიგულმა“ (გენერალური დირექტორი ანზორ კილაძე) და, ცხადია, ამ სიახლის პატრონიც სწორედ ის გახდება.

ახლა მთავარია მიკროპირდროექტროსადგურს საჭირო პრობლემათა გაჭივონ და ბლომად გამოჩნდნენ მისი დაფინანსებისა და შექმნის მოსურნენი, რათა საფუძველი ჩეყაროს მის სერიულ გამოშვებას. მით უმეტეს, რომ წარმოებასთან დაკავშირებული ფუნქციები და პრობლემები უკვე ნათელი და მოგვარებულია: მის ჩამოსახსმელ ნაწილებს ცენტრალური თუქსახსმელი ქარხანა დაამზადებს, ელმავალშენებელი ქარხანა შუშა ნაწილებს აწარმოებს, სოლო მართვის პულტით უზრუნველყოფას ელექტროგამოთვლითი მანქანების ქარხანა კისრულაობს. საბოლოოდ კი უკვე ელექტროსადგურის თავს მოყრის ფირმა „ელიტაში“ და მიკროსადგურების აწყოხაც სწორედ იქ მოხდება.

— და მაინც რა ელირება თითო ასეთი მიკროსადგური? — ის ორმოცდაათ-ასკილოვატიანები? — ჩაფიქრებით შენიშნა ქემალ მდივანმა. — მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალოგიური რვაკილოვატიანი მიკროსადგური 11 800 დოლარი ღირს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენც ზუსტად ასეთებს ვაქვთ დავადებთ. არა, ეს ისე — ორიენტაციისთვის გითხარით. მართალია, ჭერ არ დაგვიდგენია საბოლოოდ ციფრი. მაგრამ მინდა ჩვენი მომავალი სპონსორები და კლიენტები გავამხნეო — ისეთ ფასს არ

დაქვადებთ, რომ მსურველები ვერ შეხვდნენ. ოთხი ოჯახი თავისუფლად შეძლებს მის შექმნას.

— კარგი, მაგრამ ივაფუშვით და მივარდნილ ადგილას არ გამოიხანს ოთხი ოჯახი, მაშინ? — სწორი შეკითხვაა! — ხანე გაეხადრა მოსაუბრებს და ქალაქის გრაფიკულში ძებნა დაუწყეს სასურველ ნახაზს. — დაფუშვით და მიყრუებულ კუთხეში მართლაც ერთი ოჯახია და ზედმეტი ფულის გადაყრასაც რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ არ სჭირდება ოთხი ოჯახისათვის გათვითწინებული ათკილოვატიანი სიმძლავრის სადგური. მაშ, როგორ მოიტყეს? — ქემალ მდივანმა გრაფიკული გაშალა და ნახაზები მაჩვენა.

— ეს ყველაფერი გავითვალისწინეთ და ახლა მთელი დატვირთვით ვმუშაობთ ერთიდან ათ და ორმოცდაათ-ასკილოვატიან მიკროსადგურების შეხაქმენლად. აი ისინიც! ასე რომ, თუ მართო ერთი ოჯახი გამოჩნდა, მაშინ ისინი შეიტძენენ არა ათკილოვატიან, არამედ შედარებით ნაკლები სიმძლავრის მიკროსადგურს — ვთქვათ, ორ, სამ, ან ოთხკილოვატიანს. როგორც ხედავთ, არჩევანი საქამოდ დილია: ერთიდან ათ კილოვატამდე! — ის ორმოცდაათ-ასკილოვატიანები? — არა, მაგას კერძო პირები არ იყიდიან, და არა იმიტომ, რომ შედარებით ძვირი ეღირება. უბრალოდ, მათ ასეთი სიმძლავრის მიკროსადგურები არ დასჭირდებათ. ორმოცდაათ-ასკილოვატი საათი უკვე საკმაოდ სოლიდური ენერგია და იგი გაითვალისწინებულია მცირე საწარმოების, დაწესებულების, სახერხების და სხვა მსგავსი ობიექტებისათვის.

„გადავა მდებარეა უნა თუ არ მოგინჯრო, უნა უვილახს ვაინც წამოაწავა და კახილაბით დაგა-ლაჯს, უამფურა უნაწავას, ნელ ცაცხლუა მოხარაქავს, ანელ ორ-მოში ჩაპარის და თან გველის წიფილახს ჩააყოლახს... ჯაყოლი იყავ წაუღლი და უჩვენახუღლი“.

მისხილ ჯაგახიფილი

მთელი ქალაქი მარტის ქარით აიგსო. სიცივე და ქყაბი კანს სწვავს და ყველას სახლებში ერ-ეკება. დაცარიელებულ ქუჩებში აქა-იქ თუ გამოჩნდება ადამიანი და ისიც მოჩვენებასავით ქრება. ხეები ქარში იზნიქებიან და ჩონ-ჩხიან ხელებს უწვდიან ერთმა-ნეთს, თითქოს უნდათ ჩაეხვიონ და გათბენო. დაგვიანებულ მგზავრი ფეხს უჩქარებს, ეში-ნია სიბნელე არ მიეპაროს და უქნიდან არ სტაცოს ხელი.

მარტის ქარმა თვითონ იცის, რა უნდა. ყველანი ჩუმად იჯე-ქით და ხმა არ გაიღოთ... ყური მიუღდეთ, რა სიავით აწყდება ფა-ნჯრებს, როგორ იმუქრება. აბა, კარები გააღეთ, უმაღ შემოვარ-დება სიცივე და აწეწავს სიწყუღ-როვეს...

ძია მიხო საწერ მაგიდასთან ზის, შუშაბანდში და იორთქ-ლებს გაციებულ თითებს.

ცივა... ქარი ძვრება ღრიჭოე-ბიდან და წუილს იწყებს. ცოვა... რა ძალა ჰქონია მარტის ქარს, ყველაფერს ანგრევს, რომ ისევ თავიდან დაიწყოს ყველაფერი.

ძია მიხო წერას იწყებს. მა-გიდაზე ახლა ფეხებგაჩახული კბილებგადმოყრილი ერთი ვინმე-მეტრუქი უზის. ყურში ბორო-ტად ეჩურჩულება. ძია მიხო ღი-დი ხანია იცნობს ამ საშინელ დევკაცს, მთელ ოთახს, მთელ ქვეყანას რომ გადაჰფარებია და მარტის ქარს ერეკება ქვეყნის ამოსავლებად.

იჩქარე ძია მიხო, მოასწარი შენი საქმე, თორემ ეს მულრეგი მოგასწორებს და დარჩები ხახა-მშრალი. მისი მომრევი არავინ გამოჩნდა, ჯერ ვერც შენ აჯობებ, მაგრამ ეცადე, ეგებ მოასწრო, მოატყუო და ბოროტი ჯინივით დაამწყვდიო შენი წიგნის გამ-კვირვალე ღოქში. მიდი, ძია მიხო, იქნებ შენ იყვე პირ-ველი, ვინც შესძლებს ლაგამი ამოსდოს ამ ჯოჯოს. გეშინია...? განა სხვას კი არ ეშინია, რო-გორ ყველას გული გამოგქა-



მათ შიშმა. რაო, მეც მინდა სი-ცოცხლო? განა შესძლებ ეგრე ცხოვრებას, დამუნჯებულად, უე-ნოდ... მაინც დაიღუპები. ბოლ-მა გულს გაგიხეთქავს, მიაფურ-თხე სახეში ამ ავციას და ყურებ-ში ჩაავლე ხელი. ვიცი, ძია მი-ხო დაიღუპები, მაგრამ განა ცო-ტანი დაიღუპნენ? ისინი მაინც შეიცოდენ, თორემ გასკდა გულა! წერს ძია მიხო თავის წიგნს და ხედავს, როგორ დააბოტებს ოთახში მახინჯი, ფეხებს უბაკუ-ნებს, ემუქრება, გამიშვი, თო-რემ ამ ქარში გიკრავ თავსო. მე-რე ჰაერში დნება და მელანს მიჰყვება ფურცლებზე. რას არ სჩადის, ყველას და ყველაფერს ემტრება, ხვიხვინებს, ფეხებით სთელავს სუსტსა და დაჭიავე-ბულს, მერე მშვენიერსა და ლა-მანს ძალით იმორჩილებს. თავის დორბლიანი ტუჩებითა ლოშნის და ბოსელში გაუბატიურებულსა სტოვებს. ირგვლივ შიში დადის და გველურად ყველას ყურში ჩასისინებს. რა ხდება, ხალხო! ბოროტი და ავყია ყველას ში-შის ზარსა სცემს და ეს ზარები დუმილის ქვეყანაში უფრო და უფრო ხმამაღლა რეკენ.

მორჩა... მარტის ქარიან დღეს დაამთავრა ძია მიხომ წერა და წერტილი დასვა. ახლა უნდა ელოდოს, ისიც არ იცის, რამდენ ხანს მოუწევს ლოდინი. თუმცა სჯობია, რაც მოსახდენია, ბარემ მალე მოხდეს, თორემ ლოდინში გაელია გული ამ პატარა, ჩია კაცს. სადა ხართ ავციას მსახურ-ნი? მოდი, გელოდებათ ძია მიხო, უკარით თავი ჯოჯოხეთ-ში...

— მაშ, მაინც შენი გაიტანე მიხო?

— თავი დამანებე, გამშორდი, შე სისხლის მსმელო!

— ჰმ. ისეთ სიცივეში გიკრავ თავს, რომ ეს მარტის ქარი სანა-ტრელი გაგიხდება, — ემუქრება მახინჯი.

— ვიცი, ჩვენ ორნი მაინც ვერ ვიქნებით ერთად, ან მე უნდა წავიდე მოუსავლეთში, ან შენ არ უნდა გამოგიშვან გამოუსავლე-თიდან.

— მაშ აგრე... აგრე ვიცის შე-ნა?

— ეგრე ვიცი... ეგრე, — გულ-ში ზეიქობს ძია მიხო.

ღიდი ხანია იცნობს ძია მიხო ამ ვეება მუტრუქს, ფაშვი რომ გაუბერია და მოღრეცილ ფეხებ-ზე ჩამოსცურებია. უკვე კარგა ხანია სულში ჩაუსახლდა ეს ავ-ყია, ჩუმად შემოეპარა ოთახში, წყნარად მოსძებნა თბილი კუთ-ხე და ტახტზე მიწვა. ძია მიხოს მაშინვე არ მოეწონა ეს ვითომ ჩუმი სტუმარი. ტურასა ჰგავდა. ცხვირპირი ჩავარდნილი და წა-გრძელებული ჰქონდა. უხმაუ-როდ დაძვრებოდა ოთახში, ყველ-გან ცხვირსა ჰყოფდა. როგორც კი გაუწყურებოდნენ, მაშინვე ყუჩ-დებოდა და ელოდა... ელოდა მოთმინებით. დამ-დამობით ტახ-ტზე მიწოლილი ჯერ ქსუტუნს მოჰყვებოდა, მერე ფშვინვას. ხმა წვრილი ჰქონდა და მკივანა. აი, ისეთი, ურცხვსა და მეძავ ქა-ლებს რომა აქვთ.

საოცარია, მაგრამ ძია მიხომ არ ჰკითხა მოსულს ვინაობა, იც-ოდა, ვინც იყო და ელოდა კი-დეც. შიშთან ერთად შემოუძე-რა სულში და თავისი ბინძური ხელები აუფათურა ჯერ ფრთხი-ლად, უმტკივნეულოდ, მერე ძა-ლუმად... ნელ-ნელა სხეულში ბზარი გაუჩნდა და ჰრიალი დაი-წყო. ჰლექი შეეპარა ფილტვებს და მთელი სული დაუწურა და დაუძენდა. ძია მიხომ იცოდა, რაც უნდოდა ამ ტურა კაცს მისგან. ის მისი გაორებული, შეშინებუ-ლი სულის და სხეულის ნაწილი იყო. რამდენადაც სალი ნახევარ-ი სუსტდებოდა და ბეჩავდებო-და, მეორე „შეშინებული“ იზ-რდებოდა და ძალას იკრებდა, მთელი ცხოვრება სხვების გამო-ფხიზლებას ცდილობდა და შე-უმჩნევლად შიშში თვითონ მიე-ძინა... სწორედ მაშინ იგრძნო უსუსურობა და თავის უსარგე-ბლობა. სწორედ მაშინ იხელთა დრო შიგანში მიძინებულმა ავ-მა ძალამ და გარეთ გამოიჭრა. დიაცვივით სარეცელზე მიჯაჭვულ-მა კაცმა შვა თავისი თავი და ახლად დაბადებულ მაჭალაქუნას სიკვდილი და ამოწყვეტა უსურ-ვა. მისმა შეშინებულმა, გაბერ-წებულმა სხეულმა დაბადა ეს უნაყოფო სული.

სადა ხართ, მშველელებო! მო-

იხილეთ ეს ავჯია და სადმე ბნელეთში ჩაპკეტეთ.

— თავი დამანებე-მეთქი, გესმის... გამშორდი.

— სად წავიდე სენი წირიმი, სენს იქით გზა არა მაქვს. — როხროხებს უკვე ძალამორეული ორეული... არა... არა... ეს ორეული კი არა, რალაც ნარევი ადამიანისა და პირუტყვის. ან ეგებ ყველაფერი ეს, მისი გონების ზმანება.

ზმანება პირველი

იცი... იცი. ძია მიხომ, რაცა ჰქვია ამ ნაჯარსა, ჯანისქონა ჰქვია. ხალხო... იცოდეთ, ჯანისქონა! თუკი სადმე გადააწყდეთ, გაიქეცით, დაიშალეთ, წყევლა-კრულვა შეუთვალეთ! ჯერ ვერ შეებრძოლებით, ნახეთ, რას სჩადის? ყველაფერსა სთელავს.

ჯანისქონა ჯერ კრიჭაში ჩაუდგა თავის პატრონყოფილს, მერე ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა და გაიზარდა, კბილები კლდის ნაპრალებზე აიღვეს და დაბეჩავებულ ნაწილს ფეხებით შესდგა. მერე ყველაფერი დაიჩემა და დათავისთავადა.

ძია მიხო თვითონ მიხვდა, როგორ უნდა გასწორებოდა ამ უწმინდურს, რომელიც ათას ჯოჯო მოგონებებს ახვევდა თავზე და გონებას უმღვრევდა.

წერე, ძია მიხო, წერე, რასაც სჩადის ეს უჩრჭულო, დანახული და ნაგრძობი გადაავდე, რომ შეიმსუბუქო გონება, რასაც ნახავ, სხვასაც დაანახე.

— ხა... ხა... შენ გინდა მაგობო ბრინჯა, ხა, ხა... მაშ უყურე — იცინის დევკაცი და სამაგიეროს უხდის ურჩობისთვის.

ძია მიხო ხედავს, როგორ მოათრევს საფლავიდან ამოვადებულ დედამისს ჯანისქონა. დიდ ორმოსთან ახლა ტურები დგანან და ბოზი ქალებივით გაპკივიან. ჯანისქონა ნახევრად მიხრწნილ სხეულს ცეცხლში ისვრის და შეიღო ხედავს, როგორ ცოცხლდება დედის სხეული და აგიზგიზებული კოცნიდან გამოდის თმაჩამოშლილი ქალი. სანამ კაცი აზრზე მოდის, ქალი უკვე ცეცხლთან თივაზე წვება და ჯანისქონა ზემოდან ეფარება ვეებერთელა მაჯლაჯუნასავით. ქალი კენისის და შვილი ხედავს დედის ნაღველიდან ვადმოსული ვნების საწამლავი როგორ ედება მის სხეულს, შედის ყოველ უჯრედში, რომ გაამრავლოს და გაამაგროს მათი სიყვა-

რული. ძია მიხო გრძნობს, როგორ კარგავს დედას და მის მაგივრად ჯანისქონას საყვარელსა ხედავს. ეზიზღება... ჯანისქონასთან გაყოფილი დედის ორეული და ცდილობს არ დაინახოს, მაგრამ თვალს ვერ სწყვეტს ქალს, რომელიც წევს და თავის გრძელ, აბრეშუმის თმაში გახვეული, მაძლარი კატასავით კრუტუნებს. მისი ძუძუები ჯანისქონას ბალნიან მკერდში ჩაკარგულა და ახლად ამდგარი სული თავის მსგავს სულში გადადის.

— ოოო... ბოროტო, ამას რას სჩადიხარ, როგორ ყველაფერს ლეწავ და ამსხვრევ, ეს რა მიქენი, შე არაკაცო, როგორ დამლუბე.

— აკი გითხარი, წყნარად იქე-ქი-მეთქი, გინდა კიდე წერო?

ხვდება, ხვდება, მთელი სიცხადით ხვდება მიხო, როგორ ეშინია ამ ავჯიას მისი ნაწერების და შურისძიების ცეცხლი ედება. შენ გააჩინე, მიხო, ეს ჯოჯო და შენვე უნდა გაუმკლავდე, იცოდე!

ზმანება მეორე

ჯანისქონა ანგრევს მისით შებილწული სახლის კედლებს და ჭვეყანას ედება, ხელში სახრე უჭირავს და ყველას თავზარსა სცემს. სადღაა მოყვარე, სიკეთე იქ მთავრდება, სადაც ძალა და მათრახი ტრიალებს. მისი მსახურებიც მასავით ავჯიები არიან, ტანზე კიტელები და ფეხზე „აზიციკები“ აცვიათ, ხელში ახალი ბიბლია უჭირავთ და უნდობლობასა და კაცთმოყვარეობას ქადაგებენ.

ლამით საწოლიდან ყრიან ხალხს და მათ აწიოკებულ ბავშვებს სახრეს უღერებენ... მერე ჯანისქონას სახლში მიჰყავთ და აორებენ ადამიანს. სუყველაფერს უთორებენ, სინდის-ნამუსს შუაზე ყოფენ, ნახევარი არაკაცი გამოჰყავთ და პატივს იმას მიაგებენ, უსარგებლო ორეულს კი ფეხებით სრესენ. თუ ვერ შესძლებს ადამიანის გაორება, კუდიანობას აბრალევენ და გამოცდას უწყობენ: ყინულივით წყალში ავდებენ და ელოდებიან... სასაფლაოსთან ჩამწყობებულ ტურებივით ელოდებიან, თუ გადარჩა, სახლშიც კი პირდებიან დაბრუნებას, მაგრამ რატომღაც სუყველა იყინება.

კბილებგადმოყრილი მაჯლაჯუნა იცინის და შემასავით აწყობს ერთმანეთზე გაყინულ ადამიან-

ნებს, რომლებსაც ერთნაირად გადახვეწილი, გაშტერებული თვალები აქვთ. იცინის და აშენებს ამ შემზარავი აგურებით თავის თვალუწვდინელ გალავანს და ღობეც მალდდება დლითილდე.

ნეტა ერთი ძე მაინცა გყოლოდა. ძია მიხო, რომ სამაგიერო გადაეხადა შენი და იმ ათასობით გაყინული ადამიანის მაგივრად, ახლა რომ გალავანში წევს და თავისივე სიმძიმის ქვეშ იჭყლიტება, თავს გაწირავდა, მივიდოდა ჯანისქონასთან და პირში ეტყოდა სიმართლეს, დაილუბებოდა, მაგრამ შიშს აჯობებდა და ყველას მაგივრად ეტყოდა.

ზმანება მესამე

ძია მიხოს დედა არწევს თავის ახლადდაბადებული შვილის აკვანს და ჩუმად ლიღინებს. მისი მწიფე ნესვივით სავსე ძუძუები დაჰკიდებია ბალს თავზე და ნოყიერი რძე პირს უვსებს და ყლუბუნით გადასდის ყელში პატარა ბიჭს. უყურე, ადამიანო, ეს შენი ძმაა, დედაშენმა რომ შეაჯანისქონასავან. შენ შენი ნაშვირი არ გაღირსა ღმერთმა და მის სანაცვლოდ აჰა, მიიღე...

ეგრე იცის შიშმა, გულის და გონების გამოჰმა, დედის საფლავის ამოვადება, უნაყოფოდ დაგდება და შიშის გამრავლება. შენ ყველაფერი დაინახე...

ასე დაწერა ძია მიხომ თავისი ბოლო მოთხრობა. შენი ჰირიმი, კარგო კაცო! სად წაგიყვანეს, სად დაგკარგეს? დიდხანს გეძებე და მაინც გიპოვნე ჯანისქონას გალავანში, შენც იმ ათას ადამიანს გავდი. სულ ზემოთ იწეკი, მარტო დაგდებული და შენით დამთავრდა ეს შემზარავი გალავანი. გაამართლა შენმა მეცადინეობამ და გასკრა შენმა ხერხმა. მაშ, იცინეთ და იტირეთ სიხარულით, დღეს შენი ზეიშია, ძია მიხო, ხო, იცინეთ... იხარხარეთ... მაგრამ გახსოვდეთ, რომ გალავანს იქით აკვანში ჯანისქონას ბალნი წევს და ტირის, საკმელს ითხოვს. არ მომატყუოთ, მერე რა რომ ბალნია, ისიც მამამისივით მურღალი და სისხლისმსმელი გაიზრდება. ხალხო! სანამ თქვენ იცინით, ის იტირებს. იცოდეთ, არ დაუჯეროთ, თორემ მიგიტყუებთ თავისთან და ძალას გამოგაციოთ, დაგაუძლურებთ, ისევ შიშს გამოირავლებთ და ისევ იმ დიდ გალავანში ამოყოფთ თავს, ჯანისქონამ რომ ააშენა.

ქართული რუსული საერთაშორისო

გაზეთი „ილ რესტო დელ კარლინო“ იუწყებოდა:

„ბუსეტო. აქ, მანეტრო ვერდის სამშობლოში, ორიდან ექვს ივლისამდე პირველად ვიზილავთ და მოვისმენთ ქართულ „ოტელოს“. ვერდის მოედანზე საქართველოდან წარმოგზავნილი თბილისის ეროვნული საოპერო თეატრი წარმოადგენს სპექტაკლთა სერიას“.

ამ განცხადების გამოჩენა, უთუოდ, განაპირობა 140 წლიანმა ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიამ. ზუსტად ამდენი ხნის წინ, 1851 წელს, თბილისში პირველად გაიმართა იტალიური საოპერო წარმოდგენა — გ. დონიცეტის ლუჩია დი ლამერმური“.

და აი, 140 წლის შემდეგ იტალიურმა მიწა-წყალმა სავასუხო მასპინძლობა გაუწია ქართულ საოპერო ხელოვნებას, ფართოდ გაუღო კარი ჩვენს ეროვნულ საკომპოზიტორს და საშემსრულებლო სკოლის წარმომადგენლებს.

საკუთრივ ბუსეტოში ქართული საოპერო დასის საფესტივალ გასტროლებსაც თავისი ისტორია აქვს, და არც ესაა უმნიშვნელო. ჯ. ვერდის მშობლიური, ჩრდილო იტალიის პატარა ქალაქი ბუსეტო (გენიალური კომპოზიტორი მის მახლობლად პაწია ლე რონკოლეში დაიბადა) ტრადიციულად მართავს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსს „ვერდის ხმები“. მას იტალიისა და ევროპის საუკეთესო კონკურსის ავტორიტეტი აქვს მობოვებული.

ერთ-ერთ ამ კონკურსზე საუკეთესოდ იქნა მიჩნეული ქართველი მომღერალი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, დავით ანდლულაძის სახელგანთქმულ შემოქმედებით სამკვიდლოში აღზრდილი, იმხანად სსრკ დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილაძეა. მაღალნიჭიერი ქართველი მომღერლის საერთაშორისო გამარჯვებას მოჰყვა მისი არჩევა ჯ. ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო წევრად, ბუსეტოს საპატიო მოქალაქედ, „ვერდის ხმების“ კონკურსის უიურის წევრად.

წლებულს ჩვენს სახელოვან მომღერალს მიენიჭა უფლება, ბუსეტოს საოპერო ფესტივალში ოტელოს პარტია შეესრულები-

ნა და პარტნიორად ნებისმიერი დასი შეერჩია. მომღერალმა უმაღლილად გადაწყვეტილება — ეს დასი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრისა იქნებოდა!

თამამი არჩევანი მას ბევრს ავალბედა, დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობდა: ბუსეტოს ხელმძღვანელობა ენდობოდა გამოჩენილი მომღერლის მხატვრულ აღიარებას, გემოვნებას და თავად კისრულობდა დიდ მატერიალურ ხარჯს, რომლის ანაზღაურებაც მთლიანად იყო დამრკიდებული მათთვის უცნობი თეატრის პროფესიულსა და მხატვრულ-ესთეტიკურ ხარისხზე.

ადგილობრივი გაზეთის ცნობით პატარა ბუსეტო მზად იყო ხუთი-ექვსი ათასი მსმენელის მისაღებად. ფესტივალის სტუმრები იყვნენ იტალიის ქალაქების (პარმა, მილანი, ფლორენცია, ვენეცია), აგრეთვე ბელგიის, გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის, პოლანდიისა და სხვა ქვეყნების მუსიკისმოყვარულები.

სავასტროლო პროგრამა შეადგინა სავანგებოდ იტალიისათვის მისადაგებულმა ვერდის „ოტელოს“ პრემიერამ, „აბესალომმა და ეთერმა“, ორმა დიდმა კონცერტმა. მოსამზადებელ სამუშაოს წაუძღვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ბატონი ჯანსუღ კახიძე.

„ილ რესტო დელ კარლინომ“ აღნიშნა: „ფესტივალის ისტორიაში პირველად მოუხსმენთ არავერდისეულ მუსიკას. საკითხავია, რატომ? რით დაამშვენებს ჩვენი

დიდი თანამემამულის სახელს ეს მოვლენა?“

არავერდისეული მუსიკა, რომელმაც დაარღვია ფესტივალის ხანგრძლივი ტრადიცია და პირველად გაისმა არა მხოლოდ ბუსეტოს, საერთოდ იტალიის ცის ქვეშ, იყო „აბესალომ და ეთერი“. და აი, ქართულ საკომპოზიტორ და საშემსრულებლო საოპერო ხელოვნებას დიდი, ბრწყინვალე გამარჯვება ერგო წილად ქვეყანაში, სადაც საოპერო ჟანრის აკვანი დაირწა, ქვეყანაში, რომელიც მრავალი გენიალური ნაწარმოების სამშობლოა.

ქართველმა მუსიკოსებმა მართლაც რომ გამირობის ტოლფასი ღვაწლი გაიღეს — იქვენულ, მომთხვენ, მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავთა ხელოვნებით განებივრებულ იტალიელ მელომანებს იტალიური მუსიკით, მათთვის სათაყვანო ვერდის „ოტელოთი“ მოაწონეს თავი. იტალიურმა პრესამ უამრავი წერილი გამოაქვეყნა ასეთი სათაურებით: „კავკასიური „ოტელო“ პატივს მიაგებს ვერდის“, „ბუსეტომ მოუსმინა შესანიშნავ დეზდემონას“ (იგულისხმება ნ. გლუზჩაძე), „აპოლინისმენტები ტენორს“ (იგულისხმება ზ. სოტკილაძე), „ბუსეტო ტაშს უკრავს თბილისის ეროვნულ თეატრს“, „სპექტაკლი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით“, „ქებას იმსახურებს ორკესტრი და გუნდი“...

აქვე დავძენ, რომ ბუსეტოს საფესტივალო თეატრი, რომელიც 1500 მსმენელს იტევს, ღია ცის ქვეშაა გამართული. რეპერტორის დროს ამ გარემოებამ ჩვენი საოპერო მომღერლები უჩვეულო

აკუსტიკურ პირობებში ჩააყენა. მაგრამ სპექტაკლის პირველივე წუთებში ძსძეხელით შევსებული დარბაზის სმენადობამ მაღალი ხარისხი შეიძინა. ქართული პეგრა ლალად აჟღერდა დარბაზში და სანამ იტალიურ გარემოში შეიკმეოდა, თითქოს მოწიწებით მიეახლა დიადი ვერდის სულს. რომელიც განსხეულებულია თეატრის შესასვლელთან აღმართულ მის ძეგლში.

მსმენელმა, რომელიც თავდაპირველად იკვნივულად უსმენდა მომღერლებს, „რომლებსაც ძნელად გასამეორებელი გვარები აქვთ“ („ილ სოლე ვენტიკვარორე“), პირველი მოქმედების ბოლოს „ბრაგოს“ შეძახილითა და ტანით დააჯილდოვა მონაწილეები.

ბრწყინვალე გამარჯვების აღიარება გახლდათ ფესტივალის დასკვნითი საღამო, როცა ხელმოვრედ აჟღერდა „ოტელო“. ეს სპექტაკლი ჩვენი ეროვნული ხელოვნების დღესასწაულად იქცა. მომღერლები კი არ ასრულებდნენ საოპერო პარტიებს, კი არ თამაშობდნენ როლებს, ისინი თითქოს განზავდნენ ხორცშესასხმელ მხატვრულ სახეებში. ამიტომაც იყო, რომ დარბაზი იმგვარად თანაუგრძობდა სოტკილავს ოტელოსა და გლუნჩადისეულ დეზდემონას, თითქოს მათ თვალწინ პირველად თამაშდებოდა ეს საზარელი მკვლელობა. ქართველი დეზდემონას კამკამა, უმანკო, კდემამოსილი ხმა გულის სიღრმეს სწვდებოდა. შეჭირვებული, შმაგი სოტკილავა — ოტელოს მგზნებარე ტენორი ელვისებრ კვეთდა ღამის წყვიდადს, შესანიშნავი მომღერლის ვოკალური ოსტატობა ბუნებრივად შეერწყა დრამატული არტისტის ნიჭს.

„გადეტა დი პარმაში“ ასე შეაფასეს სოტკილავასეული ოტელო: „მთავარი მოქმედი პირის ურთულეს პარტიას ასრულებდა ამ როლის ვეტერანი ზურაბ სოტკილავა. ჩვენ გვახსოვს მის მიერ 15 წლის წინ შესრულებული ეს როლი ბოლონიის აკადემიაში (დირიჟორი დელმანი). სოტკილავამ დაამტკიცა, რომ დამაჯერებლად ფლობს ოტელოს პარტიას. მას სუფთა და ნათელი ხმა აქვს...“

„რეკოს“ კორესპონდენტი წერდა: „გირჩევთ დამახსოვროთ ეს სახელი: ნაირა გლუნჩადე! აკი ამბობს კიდევ ოტელო პირველ აქტში „ჩემი ნაზი დეზდემონაო“. სწორედ ასეთი გახლდათ გლუნ-

ჩაძე მთელი სპექტაკლის მანძილზე. დაამატეთ ამას მისი ზომიერება, მგრძობიარება და სრულყოფილება. დიდებულია მისი სიმღერა ტირიფზე“.

ჩვენთვის გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა 5 ივლისის საფესტივალო პროგრამას. იმ საღამოს იტალიაში პირველად დაირხა უკვდავი „აბესალომ და ეთერის“ მუსიკა. სპექტაკლს წარმატება მოუტანა თ. გუგუშვილისეულმა აბესალომმა. მომღერლის პროფესიონალიზმი, საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაციის, მკაცრი თვითკონტროლის უნარი, ვოკალიზაციის იტალიური მანერა, ეროვნულთან გემოვნებით შეზავებული სცენური თავისუფლება, მსმენელმა გულთბილად მიიღო.

ეთერის პარტია შესრულა იანო ალიბეგაშვილმა. გასული ზაფხულიდან იტალიაში განვილიძმა პროფესიულმა წვრთნამ თავისი კვალი დაამჩნია ნიჭიერი მომღერლის ვოკალურ შესაძლებლობებს — სუნთქვას სილაღე, ფრაზას პლასტიკური ძერწვის უნარი შესძინა. ერთი სიტყვით, ალიბეგაშვილისეულმა ეთერმა ისევე, როგორც გუგუშვილისეულმა ჯბესალომმა, სპექტაკლს ღირსება შეჰმატეს. დასაბანიო, რომ იგივეს ვერ ვიტყვი ჯემალ მდივინის მურმანზე.

ქართული საოპერო საშემსრულებლო სკოლა ვრცლად იყო წარმოდგენილი ორ დიდ კონცერტში. ვერდის საოპერო სოლო და საანსამბლო ნაწყვეტების შესრულებით მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს იმათაც, ვინც ახლა შედგა ფეხი ვოკალურ ასპარეზზე, და იმათაც, ვინც დიდი ხანია ფართო აღიარება ჰპოვა.

ქართული სცენის სახელოვან წარმომადგენელთაგან უწინარესად დავასახელებ ქალბატონ ცისანა ტატიშვილს. ამ დიდებული მომღერლის ესტრადაზე გამოჩენაც კი, სცენური მომხიბლაობა, არტისტული ტემპერამენტი დარბაზზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი აქაც გამოიჩინა თავისი უნიკალური ხმით, მისი ახალგაზრდული ელვარებით, ფართო დიაპაზონით, ყველა რეგისტრის ძალდაუტანებელი ფლობით.

სასახელოა, რომ ქართული სცენის ოსტატებს ღირსეული ცვლა ჰყავთ. ფესტივალზე კარგად წარმოჩნდა მათი სახე. ამ ახალგაზრდა თაობიდან აღსანიშნავია ეთერ ჭყონია. მომღერ-

ლის ანკარა სოპრანო, ტექნიკური გაწაფულობა, ვოკალით გამოხატული გრძობები, გონების კონტროლს ემორჩილება. ისევე სეგბენდიერი აღმოჩნდა მშვენიერი ბანის — გია ასათიანის მოხაწილეობა ბუსეტოს ფესტივალში. ამ ახალგაზრდა მომღერლებს ზურაბ სოტკილავას რეკომენდაციით „ლა სკალაში“ — საოპერო ხელოვნების მექაში საუკეთესო სპეციალისტებთან მუშაობის საშუალება მიეცათ. იტალიაში პროფესიული ჩვევების სრულყოფის შესაძლებლობა მიეცა აგრეთვე ნიჭიერ ბარიტონს ლადო ათანელიშვილს.

დიდი მოწონება ხვდა იანო ალიბეგაშვილის და ნუგზარ გამგებელის ვრცელ დუეტს. ბუნებრივი მონაცემებითა თუ პროფესიული ღირსებებით კონცერტის საერთო წარმატება განსაზღვრეს: ლიანა კალმახელიძემ, ელდარ გეწაძემ, ანზორ შომახიამ, ზაზა ზაალიშვილმა, მარიცა მალაფერიძემ და სხვებმა. საანსამბლო ნაწყვეტები თავიანთი მონაწილეობით დაამშვენეს ნოდარ ანდლულაძემ, თამარ კრაწაშვილმა, მზია დავითაშვილმა, შოთა ჭანკვეტაძემ, ტარიელ ჭიჭინაძემ...

სასიხარულოა, რომ სახელოვან მუსიკოსებთან და წამყვან სოლისტებთან ერთად, იტალიური პრესაც და დამსწრე აუდიტორიაც სახოტბო სიტყვებს არ იშურებდა გუნდისა (ხელმძღვანელები ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე) და ორკესტრის მიმართ. „...მთავარი მოქმედი პირი მაინც ორკესტრი და გუნდი იყო, რომლებიც პირველად ჩამოვიდნენ იტალიაში და ბედნიერები ჩანდნენ, რომ ვერდის სამშობლოში მის მუსიკას ასრულებდნენ“.

იტალიელები სპექტაკლის ყველა დეტალს ანიჭებდნენ მნიშვნელობას. მათთვის სკაგულისხმობა წარმოდგენის როგორც მუსიკალური, ისე სცენოგრაფიული რეჟისორული განხორციელება და თუმცა ქართულ რეჟისურასა და თეატრალურ მხატვრობას ფართო საერთაშორისო რეზონანსი უკვე დიდი ხანია რაც მოვებული აქვს, მაინც სასიამოვნო იყო, რომ იმგვარი მდიდარი ტრადიციის ქვეყანაში, როგორც იტალია, მუსიკალური საშემსრულებლო ხელოვნების პარალელურად აღიარება ჰქონდა ქართულ მხატვრობასაც





ქართული საოპერო დასი ვერდის სამშობლოში



Bussato applaude il Teatro nazionale di Tbilisi
**L'«Otello» del Caucaso
 rende gli onori a Verdi**

BUSSETO - La bandiera della Georgia indige-gnificante sventolava per uno spettacolo, accolto a quella italiana, sul Monte di Bussato: è infatti un'opera della terra di Verdi il Teatro nazionale di Tbilisi che ha debuttato. L'altra sera con uno scacco nella piazza della città, a Tbilisi c'era una grande ripulitura. Invece, vi sono stati cantieri di lavoro e di ottima scuola di quando nel 1851 fu scoperta l'opera italiana, con la prima di «L'Otello» e «reincanto un amore di amore per Verdi. Nel primo anno di vita del teatro, vedremo eרגული bene spulciati, stadi del teatro di Bussato.




Soldato e la Gioconda: si regala stasera a Bussato

L'«Otello» era stato dal Caucaso era ottenuto con buona fortuna dal nazionale permogliato che allora Bussato era stato in Italia. C'era anche, dunque, da un po' di giorni di essere del-

come nella foto in alto, il grande cantore russo, il tenore di Bussato, il tenore di Bussato, il tenore di Bussato, il tenore di Bussato.







მიდიოდნენ უგზოდ, უკვალოდ. ერიდებოდნენ სოფლებს, გზაშარებს, მწყემსთა სადგომებს. მიდიოდნენ ღამით. რაც უფრო უმთვარო და ბნელი იყო ის ღამე, მით უფრო მშვიდად ჰქონდათ გული. დღე ისვენებდნენ — ეფარებოდნენ ტყეებს, ხევ-ხუტებს. ცხენებს უნაგირებს მოხდიდნენ, დაბორკავდნენ და მიუჩინდნენ მწყემსად რომელიმე პირტიტველა, გლეხურად გადაცემულ რაზმელს. თვითონ ეძინათ, ან ისხდნენ ჩუმად და დაბოლმილები, გულგასენებულები გასცქეროდნენ მშობლიურ სანახებს.

სექტემბერი იწურებოდა, გადახრუტულიყო ველ-მინდვრები, მაგრამ აქა-იქ ნოტიო, ჩადაბლებულ ადგილებში ისევ მწვანედ ღაღანებდა ბალახი. იმ ბალახს ეტანებოდნენ ცხენები — მთელი დღე, თითქმის შებინდებამდე მოვდნენ, მერე ფერდებამოვსებულნი, გარინდებულნი იდგნენ და მშვიდად აშლაბუნებდნენ კუდებს — იგერიებდნენ შემოდგომის გაავებულ ბუზანკას.

მოვიდოდა, სწორედ მაშინ მოეწეოდათ დაჭრილი, სისხლით ყელჩამოწითლებული ის თეთრი ცხენი, გაერეოდა თანამოძმეებში და მოჰყვებოდა საცოდავად თავის კანტურს. ისინიც — იმისი ტანჯვით შეწუხებულები — შემოეხვეოდნენ გარშემო, ხან რომელი გადაადებდა კისერზე კისერს, ხან კიდევ — რომელი, ეფერებოდნენ, უალერსებდნენ და ეგრე უამებდნენ ტკივილს.

მაგრამ შებინდებოდა თუ არა, წამოიშლებოდნენ რაზმელები, დაიპყრდნენ ცხენებს, შეკანზავდნენ და შესხდებოდნენ ზედ. მოჰყვებოდა ის საწყალი ხვიხვისა და თავის ქნევას, წამოუვიდოდა ნატყვიარიდან ვარდისფერი ქაფი, მაგრამ უნაგირზე პირქუშად მსხდომნი თვალს არიდებდნენ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ, ზედაც არ უყურებდნენ, საკუთარ ცხენებს გამეტებით სცემდნენ ფერდებში ქუსლებს, აღვირს იმოკლებდნენ და სულ მალე თქარათქურით მიქროდნენ ადრეული შემოდგომის ფერნაცვალ მინდვრებში, სწრაფად შორდებოდნენ იმ ადგილს, სადაც მლოვეისფრად შემხმარ ბალახს ყვავილებივით აჩნდა წითელი სისხლი.

ეგრე გამოიარეს თითქმის მთელი გარეკახეთი და უდაბნოსკენ დაეშენენ.

მიდიოდნენ მაღალ, ფერნაცვალ აბზინდებში — ტრამალის ცხელი სუნთქვა ნესტოებში უღიტინებდა შემკრთალ, შეფიქრიანებულ ცხენებს.

აქეთ და აქეთ სოფლები აღარ იყო, სამაგიეროდ, ხვდებოდათ მწყემსების ნაბინავრები, ფარეხები. ესმოდათ ძაღლის ღავლავი და თათრის გამყინავი, ომახიანი ძახილი.

მთელი ღამის მძიმე, დამქანცველი მგზავრობით დაღლილებს დილითა ეძლეოდათ შეება: გარიჟრაჟზე დაუბერავდა ცივი ნიავი და შორიდან წვიმის საამოს სურნელი მოჰქონდა. აბზინდებში მიმალული ტოროლები წკრიალით აიჭრებოდნენ მაღლა, ისმოდა მწყერების ქვითქვითიც.

მიადგნენ, როგორც იქნა მიადწიეს გარეჯის მონასტერს — ძველს, მრავალჯერ დანგრეულ-აოხრებულს, მაგრამ მაინც კიდევ ღამაზსა და სულის უცნაურად დამამშვიდებელს. დაბანაკდნენ იქვე — საუცხოო ცივ წყაროსთან, დაანთეს ცეცხლი, შეწვეს მწვადები. მერე დააყენეს ყარაული და დაიძინეს. დიდხანს ეძინათ, კარგად დაისვენეს, ცოტახნით დაივიწყეს თავჩანთი დუხჭირი ხვედრი, მაგრამ მოვიდა საღამოსპირზე ის თეთრი ცხენი და ისევ აეშალათ ნალველ და მწარე ფიჭვები.

თავიდან იმედი ჰქონდათ, რომ გადარჩებოდა, ამიტომ აღვირუნაგირი მოხადეს და ეგრე გაუშვეს, თავისუფლად. ტყვია ყანყარატოში ჰქონდა მოხვედრილი და იქნებ მართლაც გადარჩენილიყო, მაგრამ ამ დაუსრულებელი დევნით ცხენი უფრო და უფრო იმიზეზებდა კრილობას. ახლა კი შეამჩნიეს, რომ ნატყვიარიდან ჩამონადენი სისხლის მოვარდისფრო, ქუტყვიანი ქაფი მკერდზე ღრუბელივით ეკიდა, საღამოსპირის გრილი ნიავი იმ ქაფს აცლიდა და მის ნაფლეთებს ბამბის ფთილებივით მიაფრიალებდა ჰაერში.

დასუსტებული, ერთ დღელამეში უცნაურად შეცვლილი, ძლივს მოლასლასდა, მაგრამ სხვა ცხენების დანახვაზე გახალისდა — მართო ისევ ხვიხვინი და თავის ქნევა. ისინიც ხალისით მიეგებნენ და ქურანა ფაშატი ჩამოწითლებულ კისერზე მიეხუტა...

რალას იზამდნენ — აიშალნენ, შეკანზავს ცხენები და უხმოლ,

თეთრი ცხენი

პირქუშად გაეცალნენ იქაურობას. ბინდბუნდში კიდევ დიდხანს ესმოდათ სასოწარკვეთილი ჰიხვირა.

მიდიოდნენ. ყარაიზისკენ ეჭურათ გეზი. წინ აჩიხალილას ბორჩალოელი თათრები მიუძლოდნენ — იმათ სულ ზებირად იცოდნენ იქაურობის ასავალ-დასავალი და ამიტომ სწრაფად მიიწვიდნენ წინ.

გაიარეს უდაბნო, თავქვე დაეშენენ და გამთენიისას მტკვრის ფონს მიადგნენ. მტკვარი აღიდებულყოფი — ეტყობოდა, თრიალეთზე წვიმდა. დასძვლეთიდან ცივი ქარი უბერავდა და ცა აქეთაც სქელი ღრუბლებით იფარებოდა.

რის ვაინაჩრობით გავიდნენ ღრმა ფონში და მალე მოდღვედა კიდევც, მაგრამ აქეთ აღარაფერი უჭირდათ — დაბურულ ტყეს შეაფარეს თავი. ქარი ჩადგა. ცამ დაბლა ჩამოიწია. მერე გაავდარდა. შემოდგომის წითელ-ყვითელ ფოთლებში მშვიდად აფაჩუნდა წვიმა. ბანაკი ერთი დიდი წიფლის ქვეშ დასცეს, დაანთეს ცეცხლიც, მაგრამ შესაწველი აღარაფერი ჰქონდათ. შეჭამეს ცოტაოდენი რამ, თუმცა მთელი ღამის ნამგზავრებს ისევ შიოდნათ. შუადღის უკან შემოესმათ გოჭის ქყვირილი და მალე დაინახეს გარეული ღორების კოლტიც. არ ესროლეს უფრო აჩიხალილასი და იმისი თათრების ხათრით, ვიდრე მდევრების შიშით. კოლტი უღრან ტყეში გაუჩინარდა და თან წაილოცნება ცვრიან მწვადებზე.

წვიმა ისევ. თეთრი ცხენი აღარ გამოჩენილა.

იმაზე ფიქრით დადარდიანებულები, თავიდან ფეხებამდე სველები შესხდნენ ცხენებზე და და-

იძრნენ ბორჩალოს მიმართულე-
ბით. მთელი ღამე წვიმაში იარეს.
დილით ერთ ნაფარებალს მიაღგ-
ნენ, მიწურში დაბინავდნენ —
ცეცხლი დაანთეს. ტანისამოსი
გაიშრეს და უქმელები დასაძინებ-
ლად მიეყარნენ.

აჭიხალილას ბრძანებით თათ-
რები წავიდნენ და მოიყვანეს
საიდანღაც ერთი კარგი ნასუქი
მოზგერი. ბანაკი გამოცნობდა.
რაზმელებმა ხელები დაიკაპიწყეს.
მოზგერი დაკლეს, გაატყავეს, აქ-
ნეს და ყურიანი ქვაბით ყურმა
შემოდგეს ცეცხლზე. არ გასულა
ცოტა ხანი, რომ ბანაკიდან ნახე-
ვარ კილომეტრზე გამოჩნდა ცხე-
ნოსანი რაზმი — სულ ორმოცი-
ოდე კაცი. ერთ ადგილზე ჩამო-
ქვეითდნენ და დაკვირვებით და-
აქებდნენ მიწას.

რაზმელებმა სასწრაფოდ ჩააქ-
რეს ცეცხლი, თოფები აიტაცეს
და საბრძოლველად მოემზადნენ,
მაგრამ ღვთის წყალობით ყველა-
ფერმა მშვიდობიანად ჩაიარა —
მღევრები ცხენებზე შესდნენ და
წავიდნენ, ეტყობა, შეტაკებას მო-
ერიდნენ.

შვებით ამოისუნთქეს. ცოტა
ხანში ქვაბს ისევ შეუწიეს ცეცხ-
ლი და ყურმა ც სულ მალე მოი-
ხარშა, მაგრამ განერვიულებუ-
ლებს აღარავის ჰქონდა ჭამის
თავი. სალამოსპირზე აიყარნენ,
აჭიხალილას და იმის თათრებს
დაემშვიდობნენ და აღბუღანის-
კენ აიღეს გეზი.

თეთრი ცხენი აღარც იმ სალა-
მოს გამოჩენილა.

მეორე დღეს, ოსების სოფლის
თავზე, ერთ ტყისპირში გადა-
იყურდეს.

ისევ წვიმდა.

ოსებს იქ თივები ედგათ. იმ თი-
ვებში გამოიძინეს, ის თივები აჭა-
მეს ცხენებსაც და სალამოსპირზე
თრიალჭთისკენ გასწიეს. ბნელი,
უმთვარე ღამე იყო და მიდიოდ-
ნენ მთლიანად ცხენების გეშს
მინდობილი — უხმოდ, უსიტყ-
ვოდ. მიდიოდნენ ჭავრით გულ-
დამძიმებულები, შორდებოდნენ
მტრის ჩექმით ვალეწილ მშობლი-
ურ მიწა-წყალს, არავინ იცოდა,
ოდესმე თუ კიდევ ელირსებოდათ
უკან დაბრუნება.

ხანდახან სიბნელეში მოეყურე-
ბოდათ ცხენის შორეული ჭიხვი-
ნი, გაჩერდებოდნენ და ყურს მი-
უგდებდნენ, მაგრამ წვიმის გაბ-
მული, გამაბეზრებელი ხმაურის
მეტე არაფერი ისმოდა.

დილით გამოჩნდა ნისლით ჩა-
მობურული თრიალეთის ქედი.
წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცოტა

ხნის შემდეგ ისევ ახალი ძალით
წამოუშინა. გზაკვალარეულნი ერთ
ადგილზე იდგნენ და არ იცოდნენ,
საით წასულიყვნენ. ბედად ზემო-
დან მოისმა მწყემსების სტვენა,
ძალის ყეფა და სულ მალე სქე-
ლი ნისლიდან ცხვრის ფარა გამო-
ვიდა. სველი, წვიმის წყლით და-
ღვრეპილი ცხვრები ძოვით მო-
სდევდნენ ბალახიან ფერდობს.

მხედრებს ყეფითა და ღველა-
ვით შემოეხვივნენ ყელჩანგლიანი
ნაგაზები, გამოჩნდნენ მწყემსე-
ბიც და შეიარაღებული ხალხის
დანახვაზე შეერთნენ, თოფებზე
გაივლეს ხელი, მაგრამ როცა სპი-
რიდონმა — რაზმში ყველაზე
ხნიერმა — „გამარჯება“ დაიძა-
ხა, დამშვიდდნენ, ძაღლებს დაუ-
ცაცხანეს და ერთი ახალგაზრდა
მწყემსი, მშვენიერი შესახედავი
ვაჟკაცი, თამამად მიუახლოვდა
მგზავრებს:

— ქართველები ხართ?

— ქართველები ვართ, ქართვე-
ლები! — ერთხმად უპასუხა რამ-
დენიმემ.

— საით თქვენი მგზავრობა?

— თურქეთში მივდივართ, ძმო-
ბილო, გზას ვერ მიგვასწავლი?

— რატომაც არა!

მწყემსმა თავის ამხანაგებს გა-
ხედა, რომლებიც ქვემოთ, ფერ-
დობის ძირში ჩასულიყვნენ და
მოსაუბრეებს იქიდან უყურებდ-
ნენ.

— ბიჭო! მე ამათ გავაცილებ
და მალე დაგეწვივით!

მერე ცხენს მათრახი გადაუჭი-
რა და ადგილს მოსწყვიტა.

რაზმი უკან გაედევნა.

კარგახანს იარეს ეგრე. ბოლოს
ერთ ხევში ჩავიდნენ. მწყემსმა
ცხენი გააჩერა და მათრახიანი
ხელი ზემოთ გაიშვირა:

— აემ გზას გაჰყევით და შუა-
დღემდე „ყაჩაღის წყაროს“ მიად-
გებით. იქიდან თურქების პირველ
სოფლამდე ერთი საათის სავალი-
ლა.

— რა სოფელია ეგა? — გამო-
მცდელად ჰკითხა რაზმის ბე-
ლადმა.

— ზურზუნას ეძახიან. ცხვარი
მიმიდის, თორემ სამძღვრამდე მი-
გაცილებდით.

ბელადმა სპირიდონს გადახედა
და ოღნავშესამჩნევად დაუქნია
თავი, მერე მხრიდან ხისბუდიანი
მაუზერი მოიხსნა, თასმა ზედ გა-
დაახვია და მწყემსს გაუწოდა:

— ეს ჩვენგან სახსოვრად
გქონდეს.

— არა, ბატონო, მაგისტვის არ
გავრჯილვარ... — აიწურა უხერ-
ხულობისაგან მწყემსი.

— გამომართვი, კარგი ვაჟკაცი
ჩანხარ, ალალია შენზე.

— მაღლობთ, ბატონო...

ბელადმა ცხენი დაძრა და რაზ-
მი ვიწრო ხეობაში გაიბაწრა.

მწყემსმა ერთ ახალგაზრდა
ბიჭს მკლავში ხელი სტაცა:

— მოიცა ძმობილო, მითხარ,
ეგ კაცი ვინ არი?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილი გა-
გიგონია?

— ბიჭოს?! როგორ არ გამი-
გონია?

— ჰოდა. ეგ არი ჩოლოყა-
შვილი.

მწყემსი გაშრა. მერე ერთხე-
ლაც გახედა ბელადს. რომელიც
ცოტაც და მოსახვევში გაუჩინარ-
დებოდა:

— მერე და, თქვე კაი ხალხო,
სად მიხვალთ, კაცო... თურქეთში
რა გინდათ... ამ საქართველოს
ვიღას უტოვებთ?!

— ეჰ, ჩემო ძმაო, — „სადაც
არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა
მამაციისაგანო“ — ხომ გაგიგია...

ბიჭმა ცხენს ქუსლი ამოსცხო
და წინ წასულ ამხანაგებს დაეწია.

მწყემსი ერთხანს კიდევ იდგა,
დაფიქრებული, დანადვლიანებუ-
ლი გასტყეროდა ხეობაში მიმა-
ვალთ და, როცა ისინი თვალს მი-
ეფარნენ, ცხენს მათრახი სწყვი-
ტა, ხვეიდან ამოახტუნა და წვი-
მის წყლით გაყიებულ, ბალახიან
ფერდობზე მიუშვა...

წვიმდა. გადაღებას არ აპი-
რებდა.

მიდიოდნენ თავიდან ფეხებამდე
სველები და არ იცოდნენ, როდის-
ღა ელირსებოდათ უკან დაბრუ-
ნება. ან ელირსებოდათ კი რო-
დისმე?

აღარც იმ დღეს გამოჩენილა
თეთრი ცხენი, მაგრამ მაინც ყურ-
ში ჩაესმოდათ იმისი ჭიხვინი.

თანდათანობით ილეოდა სა-
ქართველოს მიწა.

შუადღისას მართლაც მიადგნენ
კლდეში გამომავალ წყაროს. ქუ-
მელი მოზილეს, — თითო პატარა
გუნდა ყველას ერგო, — და იმი-
თი მოიკლეს შიმშილი. ზედ წყა-
როს წყალი დააყოლეს.

ისევ განაგრძეს გზა. ცხენებს
ტალახში უცურდებოდათ ფეხი.
ცოტა ხანში დაიწყო დაღმარ-
თი — ისიც ტალახიანი, სველი,
ალინჯყული.

დაქვეითდნენ და ცხენებს წინ
გაუძღვენ...

წვიმამ გადაიღო. ახლა სქელი
ნისლი აიშალა. ფრთხილად მიდ-
ოდნენ იმ ნისლში. უეცრად წინ
უცხო შეძახილი და თოფის საყე-
ტის ჩხაკუნი მოისმა.

სწრაფად გაიშალნენ, იარაღზე იტაცეს ხელი და თოფიც გავარდა. — არავინ ისროლოს! — ბრძანა ჩოლოყაშვილმა. ისევ გავარდა თოფი. ნისლში ტყვიამ გაიწვილა. ტალახში ჩაწვინენ. — ცხენები მიაფარეთ! — ბრძანა ისევ ქაქუცამ. ისა და გენერალი სპირიდონ ქავეკავაძე ერთი პატარა, ბალახიანი კორდის უკან იწვინენ. — თეთრი ბაირალი გვეკირდება, თავადო, — თქვა სპირიდონმა. ქაქუცამ იქაურობა მოათვალიერა: — ბაღურ! ბაღურაშვილი ახლოს მჩხობდა და ბელადს სახეში მიაჩერდა. — თეთრი ნაკერი უნდა იშოვნო.

იმან უხმოდ დაუქნია თავი და ნისლში გაუჩინარდა. ამჭერად ერთდროულად გავარდა რამდენიმე თოფი, ცოტა ხანში კი ისეთი სროლა ატყდა, თავი მაღლა ველარ ასწიეს. საიდანღაც ნიავემა დაუბერა, ნისლი გაიცრიცა და ქვემოთ თურქების სასაზღვრო ჭარის ყაზარმა გამოჩნდა. იქიდან ისროდნენ. მალე ბაღურაც მოვიდა — ხელში ჭუჭყიანი ფალასი ეჭირა. — ეგ რა არი, ბიჭო?! — გაუკვირდა ჩოლოყაშვილს. — ამაზე თეთრი ვერა ვნახე რა, ბელადო, იგრე არიან ყველანი ტალახში დათხუნულები, მიკვირს ესეც რო ვიშოვნე. ქაქუცა ერთხანს ჩუმად იწვა,

მერე წამოჭდა, ქამარი შემოიხსნა, ხალათი გაიხადა და თოვლივით თეთრი, ქათქათა პერანგი ისე გაიძრო, თითქოს სული ამოირთვაო. სროლა რომ შეწყდა, ქვემოთ დაემგნენ. უცხო მიწაზე მიაბიჭებდნენ. წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მიუძღლოდათ — მაღლა აწეული თეთრი პერანგი ეჭირა ხელში. შემოდგომის გრილი ნიავე აფრიალებდა იმ პერანგს. მიდიოდნენ რალაცნაირად დაცლილები, დაცარიელებულები. მშრალი, ეკლიანი ბურთი გასჩროდათ ყელში. მიდიოდნენ და უკან მისდევდათ სამშობლოში დარჩენილი, მტრის ტყვიით დაჭრილი თეთრი ცხენის სასოწარკვეთილი ჭიხვინი.

(დასასრული)

„მონყალაჯისა სარი განგვიღე...“

თებული ლამპრებით და ფსალმუნთა გალობით გეთსამანიის ბაღში მიასვენენ და მღვიმეში დაკრძალეს. სამი დღის განმავლობაში ანგელოზთა გალობა ისმოდა ამ სამარხიდან. მესამე დღეს თომა მოციქული მოვიდა და ღვთისმშობლის ცხედრის თაყვანისცემა ისურვა, მაგრამ, როცა სამარხი გახსნეს, ცხედარი იქ აღარ დახვდათ. მაცხოვარმა ღვთისმშობლის სხეულიც აღამაღლა ზეცას. აღსრულდა დიდი წინასწარმეტყველის, მეფე დავითის მიერ ფსალმუნით ნათქვამი საიდუმლო: „დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა სამოსლითა ოქრო ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად პირადად“ (ფსალმუნნი 44,9). სინმინდის უზენაესი ძალით ღვთისმშობელმა ალაღსრულა ქალწულობისა და შობის საიდუმლო, დღესასწაული მინისა და ზეცისა. ... სული წმინდის გარდამოსვლის შემდეგ მოციქულებმა და ღვთისმშობელმა წილი იყარეს, თუ რომელ ქვეყანაში ვინ წავი-

დოდა საქადაგებლად. ღვთისმშობლის კუთვნილ გრაგნილზე „საქართველო“ ეწერა, მაგრამ მოახლოებული აღსასრულის გამო მან საქართველოში საქადაგებლად მაცხოვრის ორი მოციქული ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი გამოგზავნა. მისი ზეციური მფარველობა არასოდეს მოჰკლებია მის წილხედომ საქართველოს. დედა ღვთისმშობელს ევედრებოდა ყრმა წინო, ღირსი გაეხადა იმ ადგილის ხილვისა, სადაც მაცხოვრის კვართი ინახებოდა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ისმინა წმინდა წინოს ვედრება. საიდუმლო გამოცხადებით აკურთხა იგი, ვაზის რტოსაგან ჯვარი შეუკრა და საქართველოს გასაქრისტიანებლად დალოცა, რომლის უბეშიც მისი უწმინდესი ხელებით ნაქსოვი უფლის კვართი ინახებოდა. ხატება სათნო ქალწულისა, ვაზის ჯვრით ხელში ერის ცნობიერებაში თანდათან გადაეჭდოდა ღვთისმშობლისას, რომლის უმანკო თვალების

ქართული მზერა ამკობს ჩვენი ცის კაბადონს. ... დედა ღვთისა მფარველობდა ქართველებს ყველგან და ყოველთვის: ასე სწამდათ, ასე სჯეროდათ ჩვენს წინაპრებს და სწორედ ამიტომ დედა-ღვთისას ევედრებოდნენ უწინარეს ყოვლისა, თავის ქვეყნისა და ერისთვის შეწევნას, ევედრებოდნენ მეოხებას მაცხოვრის წინაშე. ერის სრული დენაციონალიზაციის დროს, როცა საქართველო ღრმა უფსკრულის პირას აღმოჩნდა, როცა გადაგვარებისა და გადაშენების შემზარავი სურათი საცნაური შეიქმნა, საქართველოს ურჩეულებმა შვილმა, მისმა უგვირგვინო მეფემ გულიდან აღმომსკდარი ლოცვა-ვედრებით მიმართა დედანს უფლისას: „დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია... შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა, საღმრთოდ მიიღე სისწლი, რომელ ამ ხალხს უღვრია, ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მონყალე თვალსა“.

ჭიჭიჭი ლეონიძე

ემზარ კვიციანიშვილი

სრავის მიმართ იმდენი სიუყვარული და აღტაცება არ გამოუთქვამს გიორგი ლეონიძემ (სხვაგვარად იგი ვერც მოიქცეოდა), რამდენიც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რუსთაველისადმი გამოხატა. რუსთაველის გენია და ხედი მისი განუწყვეტელი უიქროს საგანა იყო. უკვე ხანში შესული კაცი იღუმთადად გამჭრალი და გადკარგული, ლეგენდად ქცეული წინაპრის ვახაგონად გაოცნებული კითხულობდა: „რად არ გვაძინებ ღამეებს, ტკივილს დანაკარგისა?“

„ვეფხისტყაოსანს“ იგი წინადად არც კი აღიქვამდა, ცოცხალ არტისტად, ზუნების ხაოცრებად მიაჩნდა:

ხელში ავიღებ... გავკიცხვ, კიდევ ჩავკოცნი...

ჩავტყერო!

წიგნი კი არა — ვრტოლა ხარ,

ჩამოქაფული ჩანჩქერის.

რადღუნ მოულოდნელი, დაუჭერებელი იყო, რომ ერთ დღეს (ეს ამავე დროს მისი გარდაცვალების წელიც აღმოჩნდა) ამ კაცს თავისი ღვიძლისთვის, უახლოესი პირისთვის მისი ეთქვა: ცუდად არის ჩემი საქმე, „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობ და ვეღარ ვანვიციდი, აღარ მადიდებებს. ეს მისი ნიშნავს, მაღე უნდა მოვკვდეო. იმ აღმთანშა დაამწვინა, არა უშავს, უგუნებობა ვადივლის, უველაფერი ძველებურად იქნებო, მაგრამ მას აღარ შეეცვლია მძიმე განწყობილება, თვითონ უველაზე მეტად იყო მიხვედრილი — ხანცოცხლო ძალა დაეშრიდა. ასე იგრძნო გიორგი ლეონიძემ სიკვდილის მოახლოება. სიკვდილად კი იგი უკვე იმას ხთვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ხელში აღება აღარ უნ-

დოდა — ეს მისთვის თვით სამუაროს დამურგავს უდრიდა.

ესეც იმავე ხანებში მოხდა. ოროდღე კვირით აღრე, ვიდრე ხასიკვიდილო ხარეცელს მიეჭაჭებოდა, ვაკეში გამოიარა, თავის დახთან. ყველანი ხანინლად დადარდიანებულეები ვიყავით. ჩემს ბიჭს, ახალშობილს, უეცრად მდღუღარე გადაეველო და დაგვეწვა, ხავადმყოფოში გვეყავდა. სიკვდილს როგორღაც გადავარჩინეთ, მაგრამ მამაჩემი შეწუხებული ამბობდა, ასეთი დიდი ტრავმა უკვალოდ არ ჩაივლიო. ძია გოგლა მე მამხნევებდა, ზუ გეშინია, ბიჭი კარგად იქნებო. ხალხური ლექსიც მითხრა ცნობილი ციკლიდან. მახსოვს, ასე იწყებოდა: „ხატონიშვილი დათუნა აღვად აპროლი ცაშია...“ მას მერე ვეძებ და ის ვარიანტი აღარხად შემხვედრია. მანამდე ექსპრომტი მომცა, ახალდაბადებულისათვის ეძღვნა:

კვიტიანიშვილიმ დათუნამ თვალეები დაფათუნა, გახარებულა ემზარი, რომ ბედმა ბიჭი არგუნა, პაერში დახტის დავითი, გაიძარტება „აგუნა“.

ცოტა ხნის მერე მითხრა — „რომ ხედმა“ წაშალე და იქ, ჩაწერე „ხოფიკომ“, თორემ შენს ცოლს, ხავადმყოფოდან როცა გამოვა, ეწყინება, ბიძაჩემმა რად არ მახსენაო. ძალიან მწუხდება გული, რომ ის ფურცელი ხადღაც ამოვდე და შევიანხე, მერე კი ვეღარხად მივაგენი. ხნომებით ზუსტად მახსოვს. ეს ეწერა, ვაი, რომ ჩემს ბიჭს ამ ღმერთკაცის დადლოცვამ არ უშველა, უხედურ ვარსკვლავზე აღმოჩნდა დაბადებული და ოცდაათის წლისა გაშორდა ამ ქვეყანას.

ის დღე კი ხაოცრად ცხადად მიღვას თვალწინ, ვერაფერი ამოშლის ჩემი გონებიდან. მანქანით გავიხიერნოთ მცხეთისკენო, მითხრა. ვახაოცრად უყვარდა იქაურობა. ქალაქგარეთ ეს გახვლა აღრე მაქვს აღწერილი, მაგრამ მამის ზოგარამ არ აღმინიშნავს. მცხეთას



გავდით, წეროვანიხენ, მისი ბეუღლის, ეფეშია გედევანიშვილის ხოლმისკენ გადაუხვია მანქანამ. ნაღვლიანად ვახედა პორიზონტზე ჩამწკრივებული ალვის ხეების რიგს, ვინ იცის, რა აგონდებოდა. მერე გამოვტრილდით. შეიძლება ტანი უგრძობდა, უკანასკნელად რომ ავლებდა იქაურობას თვალს და უველაფერს ეალერსებოდა, არ ეთმობოდა მცხეთის შემოგარენი. ერთ ადგილზე დიღხანს ვერ ჩერდებოდა. მერე გზიდან გადავღა, ფეხით გაიარ-გამოიარა მინდვრის უვავილებში, გახალისდა. მახსოვს, ღიმილით მომბრუნდა:

— აბა, მითხარი, რითი არა ვარ დღეს ილია ჭავჭავაძე?.. ის თუ ხანკს მეთავებოდა, მე აგერ „ეოლგის“ პატრონი ვარ...

— ეს თქვა და ხამალა ვადიხარხარა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო გაცინება.

მამის ნამდვილად იხუჭრა. მაგრამ მისთვის აღხათ უველაზე დიდი ჯილდო იქნებოდა, ვინმეს რომ ეთქვა. შენი მწერლობითა და მოღვაწეობით ილიას ჰგვეხარო.

ილიან ძეგლთანაც (ხავურამოში) ამ გაუნელებელმა სიუყვარულმა გადაადებინა სურათი. ის მართლაც ილიას მემკვიდრე და მისი დანატოვარის თავგადაღებული ჭირისუფალი იყო; თავისი დიდი წინაპრის ხსენების უკვდავსაყოფად უამრავი რამ გააკეთა.

ცნობილია, როგორ ვადიხიანდა აღრე, ილიას ხალში პანსიონატი (მწერალთა ოჯახების დახასვენებელი) რომ ვახსენებს. ხად გავიხილა, ხადაც ილია ხუნთქავდა და აწროვენდა, ვილაცებმა ღამის ქოთნები აფრილონო, ზობოქრობდა და მანამ არ მარუხვენია (ეს ცნობა ხავოგადოებას პოეტის უმცროსმა ქალიშვილმა თინათინ ლეონიძემ მიაწოლა). ხანამ ის პანსიონატი არ დაახურვინა და ხალ-მუხუეში პირვანდელი ხახით არ აღადგინებს.

გიორგი ლეონიძე არა მხოლოდ გამოჩენილი წინაპრების, უველა პათიოსანი მოღვაწის მიმართ დაუცხრომედ უურადღებასა და ზრუნვას იჩენდა. არ უნდოდა ვინმეს თუნდაც მცირე დამხახურება დაკარგულიყო. აღხათ ოდენმე ცადე გამოიცემა მის მიერ სხვადასხვა დროს ჭირისუფლის გულისხკვილით წარმოთქმული სიტყვები, მოგონებები და ეს დიდი პიროვენება ჩვენს წინაშე ხულ სხვა კუთხით წარმოჩენდა.

იგი ხშირი ხტუმარი იყო შიო შღვიმელის ოჯახისა. ერთნელ, ქალბატონი ქეთოს პიენის პრემიერის შემდეგ, მეც მოვხვდი მათ ოჯახში. იქვე იყო გიორგი ლეონიძის ვიშნაზის მეგობარი ირაკლი კახრაძე, ჭუჩუაშვილენის ახლო ნათესავი. ბევრი რამ მოიგონეს, ვამხიარულდნენ. გიორგი ლეონიძე

მურმან ლეგანიძე

ვიგონებ მეგობარს. მე მუსიკოსი არ ვახლავართ. რევან ლალიძის შემოქმედებისადმი ჩემი დამოკიდებულება მუსიკისმოყვარული ქართველი კაცის, არაპროფესიონალის დამოკიდებულებაა. მაგრამ მე ის კაცი ვარ, რომელიც, თორმეტი წლის ასაკში, ისმენდა რა სანდრო კავსადისეულ „ზამთარიას“, მუხლზე დაჩოქების სურვილი უჩნდებოდა... არაერთი ქართული საგუნდო სიმღერა დღესაც აღძრავს ჩემში მოწიწების, ექსტაზის, თავგანწირვის გრძნობებს. მსგავს ამაღლებულობასა და აღფრთოვანებას მასობრივად იწვევენ რევან ლალიძის შედევრები. ლალიძის მუსიკა თვისობრივად ქართული ეროვნული მუსიკის წიაღში იღებს სათავეს, იქაა მისი ძირი. მშობლიურია ეს მუსიკა, ქართული ეროვნული სულის მატარებელი, განმფენელი და გამავრცელებელი...

მაგრამ მე მეგობარს ვიგონებ უბირატესად და არა მარტო მუსიკოსს. რამდენიმე უპრეტენზიო ეპიზოდი ჩვენი ცხოვრებიდან...
ორმოციანი წლები ამბავს ვყვები: ახალგაზრდა პოეტი და ახალგაზრდა კომპოზიტორი ვხვდებით ერთმანეთს შეთანხმებისამებრ კომპოზიტორის, მაშასადამე რეზო ლალიძის ბინაზე, ტელმანის ქუჩაზე, გვონებ 1947 წელს, ვგონებ, ჩემი ლექსები სპირდებოდა რეზოს თავისი სიმღე-

ჩემი ჩაუბო ლექსიკა

რებიასთვის. დღით ვესტუმროდნა პირს არ უხსნის. ვერ არის ხასიათზე, — რაშია საქმე, არ ვიცი...

ვუკითხავ ლექსებს — ამქვეყნას არ არის! — უგულისყუროდ მისმენს. წავუკითხე ერთი, წავუკითხე მეორე. არავითარი რეაქცია! „მელეშუმს დათვები მოუკლავთ ვაჟკაცებს...“ ახალთახალ ლექსს ვუკითხავ, სიმღერისათვის. ალბათ, სრულიად გამოუსადეგარს, და ვხედავ სასურველ ცვლილებას მის სახეზე... ლექსში დათვების დახოცვაზე და ურმით მთიდან მათს ჩამოტანაზეა ლაპარაკი. „მელეშუმს კუბრივით შავია უღრანი და ტყეში ღნავიან თბოლი ბელეზი...“ ნადირობის ტრფილს ლამის ცრემლი მოადგეს თვალზე, შეწუხებული მიაბობს გუშინდელ შემთხვევას: ბელი ჰყოლია რეზოს გრძელი ტყავის საყელურით ოთახში დაბმული, ფანჯარაში გადაიმძვრალა, გადაკიდულა და, შინ დაბრუნებულს, ასე ჩამომხრჩვალა დახვედრია...

არ გამიმხილია. უნდა გიძღვნა-მეთქი, ყველა შემდგომ გამოცემაში ზემოხსენებულ ლექსს რევან ლალიძისადმი მიძღვნა აქვს წამძღვარებული და არავინ იცის, რატომ... ჩემთან შეხვედრა ყოველთვის საყვარელ ბელს გაახსენებდა ხოლმე: „მელეშუმს დათვები მოუკლავთ ვაჟკაცებს“ — მომიგებებოდა პირზე კოცნით, — „და ტყეში ღნავიან თბოლი ბელეზი...“ — წარსულისა და ჩვენი ახალგაზრდობის გახსენება სევდანარევე კმაყოფილებას ანიჭებდა მეზადურსა და მონადირეს...

ამ მეორე პატარა ეპიზოდით რევან ლალიძის ფიზიკურ ძლიერებაზე, მის ქართულ ხასიათზე და, უხერხულად ნურავინ შეიმძუშენება, მის ლომურ, დაუთრობელ თანამესუფრეობაზე მინდა გაიამბოთ.

ვაკის პარკში აღმართ-აღმართ ცნობილი რესტორნისაკენ მივდივარ და, უცბად, თავდაღმართში სახეაწითლებული, შეჭედიანებული, სირბილით მომავალი ბატონი არჩილ კერესელიძე მხვდება. — ჩვენი საყვარელი არჩილი, რომელიც მორბის და მოლაპარაკობს:

— Звери! Звери! Звери! — მაგათთან ღვინის სმა როგორ შეიძლება!

— ბატონო „ტუხა“-მეთქი მეტსახელს ვერ ვუბედავ, — ბატონო არჩილ, საიდან მორბიხართ? სად გარბიხართ და მაგას ვისხ-

„გული წმინდა დაჰბა. დე ჩემთანა. ღმერთო და სული წრფელი გან- მიახლე გუამსა ჩემსა“ (ფსალმუნნი, 50. 12).

მარხვა უდიდესი სათნოებაა. ღვთის სიბრძნე და საიდუმლოა. იგი ადამიანის სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ღმერთმა თავის ხატად შექმნილ პირველსავე ადამიანს დაუწერა მარხვა, როცა ამცნო: „ყველა ხის ნაყოფი გექმევით ამ ბაღში... მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეკამოთ, რადგან, როგორც კი შეკამოთ, მოკვდებით“ (დაბადება 2. 16, 17). მაგრამ პირველმავე ადამიანმა დაარღვია მარხვა, დაემორჩილა ეშმაკის ცთუნებას

და იგემა აკრძალული ხილი. ღვთის სიტყვისადმი ურჩობამ იგი განაშორა ღმერთს. დააკარგვინა სამოთხის ნათელი და მიწერილი ცხოვრების სიბნელემ მოიცვა. ადამიანმა დაივიწყა თავისი თავი, დაივიწყა ღვთის ხატად რომ იყო შექმნილი და გადაგვარდა.

მაგრამ ღმერთმა არ გაიმეტა საბოლოო ტანჯვისთვის მის მიერ ეხოდენ სიყვარულით შექმნილი ადამიანი. გაიღო უზენაესი წყალობა და განკაცებული მოევლინა კაცობრიობას. ადამიანი მიუწვდომელ საიდუმლოს ეზიარა. მას საშუალება მიეცა საკუთარი თვლით ეხილა ღმერთი. მოეხმინა მისთვის, სამოთხის შემდეგ ადამიანმა

გარსკვა

კვლავ იხილა ღმერთი. მაგრამ ვერ იცნო.

კაცობრიობა ისე დაეცა ცოდვით, რომ მის გამოხახნელად განცალკევებული უფლის ტარიგად ქცევა გახდა საჭირო. ღვთის უხაზღვრო სიყვარულმა ქვარცმით გაიღო ეს მიუწვდომელი მხვერპლი და ადამიანს აღდგენისაკენ მოუწოდა: „მოიდეთ და ქაშეთ, ეს არს ბოროტი ჩემი და ეს არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა მრავალთათვის დათბებული მისხტი

ვებლად ცოდუთა“ (მათე 28. 28). ამ უდიდესი განსაწმენდელის მისაღებად საჭირო იყო ადამიანის განახლება სინანულით და მარხვით.

დიდია მარხვის საიდუმლო, იგი სინანულით ადადგენს დაცემულ ადამიანს. ანახლებს სიყვარულს, უდიდესი და უკანასკნელი წინაწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი თავად საოცარი მმარხველი იყო. ადამიანთა სულიერი უდაბნოს რწმენით ასაყვავებლად

ლაპარაკობთ-მეთქი? — ვეკითხები.

როგორ თუ ვისზე ვლაპარაკობ, ვისზე და — რეზო ლალიძეზე, კუკური ჭუბაბრიაზე და ვახტანგ ჭყვიციანი... სანამ ჩიის ჭიკები სვეს, მეც მივყევი მაგათ, მერე „კრუშკები“ მოითხოვეს და ახლა პირდაპირ ბოთლებით სვამენ... არ მიხვიდე, ღვინოში ჩაგახრჩობენ ეგენო...

სად არიან-მეთქი, ვეკითხები — მაინტერესებს, რომელ სართულზე სხედან?! თუ ეზოში, პატარა ფიცრული კაბინეტები როა, იქა ბრძანდებიან-მეთქი?!

მიუახლოვდი დაბალ, ცისფრად შეღებილი ფიცრული „კაბინეტების“ რიგს, ჩავხედე ერთს პატარა სარკმიდან, ჩაწხედე მეორეს და აგერ, ბატონო, აგერ ბრძანდებიან: ზის სამი ბანჯგვლიანი ლომკაცი დაბალ სკამებზე ტრუსების ამარა, სხვაფრივ სრულიად შიშველი... აგვისტოსა და მინიმუმ — ორმოცი გრადუსი სიცხე... ერთ „იაშიკს“ გაცლილს ვხედავ იატაკზე, ბოთლები იქვე აწყვია უწესრიგოდ, მეორე „იაშიკი“ ახალი წამოწყებულია, „ნოლსამოცდაათიანი“ ბოთლი რეზო ლალიძეს უჭირავს ხელში, — სადღეგრძელოს ტექსტი უცნობია, არ გამოდის ხმა „კაბინეტიდან“...

„Звери! Звери! Звери!„ — ალბათ ახლაც მილაპარაკობს, სიყვარულით მილაპარაკობს თვითონ საყვარელი არჩილ კერესე-

ლიძე... არც მე ვარგვიარ ამ ლობიბთან შესარკიხებლად და საჩქაროდ ვცილდები ფახჯარას — ძიორე სართულზე შედარებით „ხორძალური“ სუფრა ძელოდებდა...

ბოლოდროინდელი, გარდაცვალებამდე ერთწლისწინდელი შეხვედრა მინდა გავიხსენო. შინ ვიწვიე ვერ იყო ჯანმრთელად, ორი სიმღერა დაეწერა ჩემი ლექსების გამოყენებით და ამაზე დაშირკვა. „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი არა დაღვრილის, — დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა... არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი — არ გამაჩნია!“ — ინსტრუმენტს მიუჯდა და ჩამილინა, არ გამკვირვებია, გუნდური სიმღერისათვის მართლაც გამოსადეგი ლექსია. სხვათა შორის გოგი ცაბაძესაც აქვს დაწერილი სიმღერა ამ ლექსზე... განსხვავებული, ჩემთვის საყვარელი მგლოდია აქვს ამავე ლექსზე მხატვარ იური ქლიბაძეს, გიტარის თხნლებით ასრულებს თუ ეშხშია შესული... მაგრამ ჩემი გაკვირვება გამოიწვია და დღესაც იწვევს სიმღერის ტექსტად, ჩემი გაგებით, სრულიად არასასიმღერო, ქვეტექსტობრივი, სულ რაღაც რჯაყტრიჭონიანი ლირიკული ლექსის შერჩევა...

თეთრია ირგვლივ რცხილა და მუხა თეთრია ირგვლივ სამშობლო მხარე,

მხოლოდღა ცხელი ბუხრები ბურღავს საქართველოს ცის გაყინულ ჰაერს...

სულ ეს გახლავთ ლექსი, სიტყვებს ვეღარ ვიგონებ, რა სიტყვებით გადმომცა ამ ლექსით გამოწვეული ასოციაციები, იმპულსები, რომელთაც აღძრეს რევან ლალიძე სიმღერის დასაწერად. ფიზიკურად მართლა დიდთვლობა იყო იმ დღეებში, შინ იჯდა ავადმყოფი და სარკმილიან უყურებდა ზამთარს, მაგრამ ლექსში, ვარგად მოეხსენებოდა, სხვა ზამთარზე და საქართველოს ცისა და ჰაერის სხვა გაყინვაზე იყო ლაპარაკი, თვითონაც ზამთარი უახლოვდებოდა და ზამთარს განიცდიდა, ოღონდ ეს არ უთქვამს, ისე დავცილდით ერთმანეთს...

სამწუხაროდ, არავითარი წარმოდგენა ამ ორ სიმღერაზე მე არ მაქვს, არც მალამ და არც დაბალ დონეზე შესრულებული არავისგან მომისმენია, რადგან, როგორც ვიცი, კაპელისთვისაა ეს ორივე სიმღერა შექმნილი, რაც სიძნელეს ქმნის მათი შესრულების გზაზე. ეგ — არაფერი! მოდი, ამ სიტყვებით დავამთავრებ ჩემს მოგონებას: მიზარია და მესახელება, რომ ჩემს პოეზიაშიც ჰპოვა საზრდო რევან ლალიძის — ჩვენი დროის დიდებული კომპოზიტორის, ჩვენი დამამშვენებლის ნიჭმა.

იგი მოუწოდებდა ყველას: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათა“. (მათე 3, 2).

თავად მაცხოვარმა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იმარხულა უდაბნოში და როცა შეიშლი იგრძნო, მაშინ მოვიდა მასთან ეშმაკი გამოსაცდელად. „თუ ძე ხარ ღმერთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ. ხოლო იესომ მიუგო: არა მხოლოდ პურით იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან“ (მათე 3, 4). მაცხოვრის მიერ იმოთხილვე დამარცხებულ ეშმაკთან ნათქვამი ეს სიტყვები ყოველ ქრისტიანს ახსენებს, რომ უპირველესი საკვები ადამიანისა არის ღვთის სიტყვა. პური

ცხოვრებისა. მარხვის დროს ზეიმობს სული. მარხვით განწმენდამ უნდა აღადგინოს პირველყოფილი უბიწოება, უნდა დააბრუნოს ადამიანი ღმერთთან. მარხვით უნდა დაითრგუნოს სხეულის ცოდვისადმი მიდრეკილება და არა თვით სხეული, როგორც ზოგ მოარწმუნეს მიაჩნია. ადამიანმა სულიც უნდა გაიწმენდოს და სხეულიც, რადგან სულის და სხეულის ერთიანობით არის ადამიანი ღვთის ხატი.

მარხვა მაშინ იქნება ბეჭმარიტი, თუ მას ჩვენ ქრისტიანული ცხოვრებით გამოვხატავთ. მარხვა სულით თაყვანისცემაა ღვთისადმი, რაც მხოლოდ გულგანწმენდის შეუძლია. მაცხოვარ-

მა მოგვცა ახალი მცნება უსაზღვრო სიყვარულისა. რადგან სიყვარულია ყველაზე დიდი თაყვანისცემა ღვთისადმი. მარხვით და ლოცვით განწმენდილ ადამიანს უფლება ეძლევა წარსდგეს ისეთი უდიდესი მისტიკის წინაშე, როგორცაა ქრისტეს სისხლთან და ხორციან ზიარება. ამ საიდუმლოს უნდა მიმართოს ყოველმა ავადმყოფმა. ექიმობა ნაკურთხია ღვთის მიერ, მაგრამ უპირველესი მკურნალი არის უფალი. სხეული უნდა განიკურნოს ცოდვების მონანიებით.

მარხვამ უნდა დაამარცხოს მოშაკდინებელი ცოდვები. ხიშთვრადე, ნაჟროვანება, სიძვა, მარხვის დროს ადამიანი იკვებება

მცენარეული საკვებით. რაც ნაკლებად ამხურვალეებს სისხლს, არ ასუქებს ადამიანს. სწმენდს გულს და გონებას.

ბოროტი ძალა ყოველთვის ეღობება ადამიანის მიერ მარხვის აღსრულებას.

მაგრამ მაცხოვარი არ ტოვებს თავის სისხლით გამოსყიდულთ. ისევ უხეღს ზრმას თვალს, ისევ აცოცხლებს სულით მკვდარს, ისევ შეაძლებინებს ადამიანს მარხვას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია რწმენის საფეხურთა ავლა.

ვევედროთ უფალს. მოგვცეს ძალა უდიდესი სათნოების. მარხვის საიდუმლოს აღსასრულებლად.

ეს იყო 1929 წელს.
 ოლიმპიადაზე გამარჯვებული ცნობილი
 მომღერალი ვიგო ერქომაიშვილი და მისი
 ჩგუფის წევრები ლენინგრადში მიიწვიეს.
 ერთ-ერთ კონცერტს მაქსიმ გორკის-
 თან ერთად მხოფლიოში სახელგანთქმუ-
 ლი მწერალი რომენ როლანიც დასწრე-
 ხია. იგი აღუფრთოვანებია ქართულ სიმ-
 ლერას. „ხახანბეგურას“ მოსმენის შემ-
 დგ კი აღტაცებით უთქვამს: „ბედნიერია
 ის კუთხე, სადაც ასეთი ხალხი ცხოვრობს.
 ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმ-
 ლერები აქვს“.
 ... და, ვფიქრობ, ის სიმღერაც ბედნი-
 ერია, რომელსაც ისეთი მოამაგე და გულ-
 შემატკივარი ყავს, როგორიც ჩვენთვის.
 ყველახათვის იაყვარელი პიროვნება და
 მომღერალი, ანსამბლ „რუხთავის“ სა-
 მხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქო-
 მაიშვილია.



ორი ათეული წელია, ბატონი ანზორი
 ელლიავება და ესათუება ქართულ
 სიმღერას. ცდილობს, დავიწყების მტვერი
 გადაწმინდოს წინაპართა უკვდავ ხმებს.
 გააცოცხლოს და საშუალოე გამოიტანოს
 ჩვენი ხალხის სწორბუკვარი ხანუჩე.

ახე შემოიარა მან საქართველოსა თუ
 საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა არქი-
 ვი და ხაცავი, მოინახულა კერძო კოლექ-
 ციონერი თუ ქართული სიმღერის ტრფი-
 ალი. შეისწავლა და დაამუშავა მოძიებუ-
 ლი მასალა და გამოუშვა ძველი ჩანაწერ-
 რების მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია
 „პირველი გრამფირფიტები საქართვე-
 ლოში — 1907-14 წლები“ და რამდენიმე
 ათეული ფირფიტა.

წინაპართა ნაკვალევმა გეზი ინგლისის-
 კენაც ააღებინა. და, აი, ხელთა გვაქვს
 ლონდონის არქივებში მიკლეული ქართ-
 ველი მომღერლების, საგუნდო კოლექ-
 ტივების, მსახიობებისა თუ სხვადასხვა
 შემსრულებლების უნიკალური ბმის ჩანა-
 წერები, რომელსაც აგრეთვე მოკლე
 დროში მოისმენს ქართველი საზოგადო-
 ება. მანამ კი ამ საშვილიშვილო საქმის
 ინიციატორსა და ხულისჩამდამებს ბა-
 ტონ ანზორ ერქომაიშვილს მოვუხსნიათ:

— ბატონო ანზორ, საიდან და
 როგორ დაგებადათ ინგლისში გა-
 მგზავრების იდეა უძველესი ქარ-
 თული სიმღერების მოსაძიებლად?

— ამ ნაბიჯის გადადგმა პირ-
 ველ რიგში, ეტყობა, წინაპართა
 ხმებით, მათი სულის აჩრდილე-
 ბით იყო ნაკარნახევი, რომელმაც
 მოსვენება დამიკარგა. შინაგანად
 ვგრძნობდი, დღეს თუ ხვალ ამ
 ნაკვალევისათვის უნდა მიმეგნო.
 როგორც ჩანს, „სანთელ-საკმევე-
 ლი თავის გზას არ დაკარგავს“...
 — მხოლოდ გულის კარნახმა
 გაბიძგათ?

— რა თქმა უნდა, არა. გულის
 კარნახს უამრავი წინაპირობა უძ-
 ლოდა.

ქართული სიმღერის უკვდავება

მუსიკის მოყვარულებს მოეხსენებათ, რომ XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში შეიქმნა გრამოფონების და პატეფონების კომპანიები და ფირმები. 1906-1907 წლებში ინგლისურმა სააქციონერო საზოგადოებამ „გრამოფონმა“ თბილისშიც გახსნა ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც ჩაიწერეს ამიერკავკასიის ხალხთა სიმღერები, მათ შორის ქართულიც. ამ ძიებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია ამ ხმების პირველჩამწერი ფირმებს თავიანთი არქივისთვის არ შემოენახათ ეს ჩანაწერები.

უშუალოდ კვალს კი ჩემი მეგობრის სოსო ჩხაიძის დახმარებით მივაგენი. იგი იღებს ფილმს „შეიდაკაცა“, რომელშიც გადმოცემულია ძველი სიმღერებისა და მომღერლების ისტორია. ფილმში მეც ვმონაწილეობ.

ფილმისთვის მასალებს რომ ვიძიებდით, შევხვდით ერთ მოსკოველ კოლექციონერს, რომელმაც გვითხრა: რომ ლონდონში არის გრამოფონის ფირმა, სადაც უნიკალური კოლექციაა თავმოყრილი და, შესაძლოა, ქართული სიმღერებიც იყოსო.

ისევე სოსო ჩხაიძის მეშვეობით, რომელიც იმხანად ინგლისს გამგზავრა, შევიტყვევ. რომ ვარაუდი გამართლდა.

საჭირო იყო გამგზავრება და ადგილზე ყველაფრის შესწავლა. დახმარებისათვის მივმართე ცნობილ ამერიკელ ფოლკლორისტს ალან ლომაქსს, რომელიც შარშან გავიციანი ამერიკაში ყოფნისას, სხვათაშორის, როცა ალან ლომაქსი ჩვენი აღდგენილი სიმღერების გრამფირფიტებს გაეცნო, აღფრთოვანება ვერ დამალა და ჩემთან ინტერვიუში მან საქართველოს მსოფლიოს ხალხური სიმღერის დედაქალაქი უწოდა.

ალან ლომაქსი ამჟამადაც დაინტერესდა ჩვენი აღმოჩენით. დარეკა ლონდონში კოლექციის მფლობელთან და აღმითქვა, რომ იგი ყველაფერში დამეხმარებოდა.

— ფინანსური მხარე?
 — გამგზავრების ხარჯები ჩვენმა კულტურის სამინისტრომ გადაიხადა. ინგლისში დაბინავებასა და არსებობაში კი ისევ ჩემი ამერიკელი მეგობარი, ახალგაზრდა ფოლკლორისტი ტედ ლევინი დამეხმარა. ჩვენ ერთდროულად შეიდ ივლისს ჩაეფრინდით ინგლისში, დავბინავდით ტედ ლევინის მეგობარი მხატვრის ოჯახში. მასპინძლებმა გულთბილად მიგვიღეს.

დაიწყო არქივებში მუშაობის დაძაბული დღეები. თავს არ შეგაწყენთ იმის გამოვრებით, რაც ჩვენმა თანამემამულეებმა უკვე იციან „ახალგაზრდა ივერიელა“

სა“ და ნაწილობრივ, ტელევიზი-
ის მეშვეობით. გავიშვებოვებ მხო-
ლოდ ერთს და არა მარტო აქ,
სხვაგანაც, სადაც კი ამის თქმის
საშუალება მომეცემა, როგორ
დამითმო ათასი დოლარი ამერი-
კელმა ტედ ლეენმა თავისი კუ-
თვნილი ჰონორარიდან, რომელიც
საფრანგეთის ფირმა „აკორამ“
გადმოგვირიცხა ავანსად თითო-
ეულს. ეს ფაქტი ამერიკელი კა-
პისაგან შეიძლება სენსაციადაც
მივიჩნოთ.

არ დაგიმალავთ, ლეენის გულ-
უხეობამ ბავშვივით ამატირა.

სწორედ ჩემი და ტედის კუთვ-
ნილი ჰონორარით — 2000 დო-
ლარით (ძალზე შეღავათიან ფა-
სებში) შევძელი იმ განძის ჩამო-
ტანა ინგლისიდან, რომელიც
დღეს ჩვენს ხელთაა.

— რა კავშირი გქონდათ „აკო-
რასთან“?

— სხვათაშორის, „აკორასთან-
ნაც“ ტედ ლეენმა დამაკავშირა,
რომელმაც გამოთქვა სურვილი,
გამოუშვას ერთი კომპაქტური
დისკი ძველი ქართული ჩანაწე-
რებისა. ფირფიტა მთელ მსოფ-
ლიოში გაიყიდება და რაოდენ
სასიხარულოა, რომ 1901-1914
წლებში ჩაწერილ უნიკალურ კო-
ლექციას მსოფლიო გაიცნობს.

— ახლა კი მთავარზე გვიაშ-
ბეთ. რა ჩამოიტანეთ ინგლისი-
დან?

— პირველ რიგში, სიხარულით
მინდა ვაუწყო ყველას, რომ ჩემს
ადრინდელ ნაშრომში საკმაოდ
დიდი შეცდომა აღმოვაჩინე. ჩემი
ვარაუდითა და მიკვლევით მასა-
ლებით უძველესი ქართული ჩა-
ნაწერები მოიცავდა 1907-14
წლებს. სინამდვილეში კი, ინგლი-
სის კატალოგების მიხედვით, ამ
თარიღმა მთელი ექვსი წლით უკან
დაიხია.

— გამოდის, რომ ჩვენი საუკუ-
ნის პირველსავე წელს ხელთ
გვქონია არა ერთი და ორი ცნო-
ბილი მომღერლისა და შემსრუ-
ლებლის ხმის ჩანაწერი.

— ლონდონში აღმოჩნდა ძალ-
ზე ბევრი საინტერესო ჩანაწერი.
მათ შორისაა ია კარგარეთელის,
ბ. ცამციაშვილის (რომელიც მოს-
კოვში ასე იყო „ხორ ცამციევა“) 1902
წლის ჩანაწერები, სადაც
ხელითაა მიწერილი 20 სიმღერა,
ნ. კიფარენკოს გუნდი (ქუთაისის
ფონდი) 15-20 სიმღერა, ცნობი-
ლი მომღერლის დედას ლევანას
(ლევან ასაბაშვილი), ჩავლეიშვა-
ლების, სიმონიშვილების, სანდრო
კავსაძის, მიხეილ კავსაძის, გიგო

ერქომაიშვილის, ვასო აბაშიძის,
აკაკის, სუმბათაშვილი-ი უ ე ი ნ ის
ხმის ჩანაწერები... და რაც ყვე-
ლაზე ძვირფასია ქართველი ხალ-
ხისათვის, ვანო სარაჯიშვილის
რვა სიმღერის ჩანაწერი, რომლე-
ბიც დიდად განსხვავდება თავისი
ხარისხითა და ხმის სისუფთავით
დღემდე აღდგენილი და შეკოწი-
წებული დუბლიკატებისაგან.

ბევრია ჩემთვის დღემდე უც-
ნობი სიმღერებიც. სამწუხაროა,
რომ მეგრული სიმღერების ჩანა-
წერი ინგლისის არქივებში არ
აღმოჩნდა.

— ბატონო ანზორ, როგორ შე-
ხვდნენ თქვენს მისიას არქივის
თანამშრომლები, ან სხვები, ვინც
თქვენი ჩასვლის მიზეზი გაიგო?

— ისინი უდიდესი პატივისცე-
მით განიმსჯვალნენ ჩვენს მიმართ.
არქივის თანამშრომლები, რომ
იტყვიან, ზედ გვეყვებოდნენ. ერთ-
ხმად აღნიშნავდნენ, რომ უძვე-
ლესი ჩანაწერების მიმართ ასეთი
ყურადღება არავისგან ახსოვთ და
ამ ფაქტს, როგორც ჩანს, ხაზგას-
მით აფასებდნენ.

— რას იტყვით თქვენ მასპინ-
ძელ ინგლისურ ოჯახზე?

— მათთან თავს ისე ვგრძნობ-
დი, როგორც საკუთარ ჰერკევში.
წამოსვლისას საგანგებო სუფრაც
კი გამიმართეს, სადაც ოცდაათა-
მდე ინგლისის საკმაოდ მაღალი
წრის წარმომადგენელმა მოიყარა
თავი. მათ დიდი ინტერესი გამო-
ამყლავნეს ჩვენი მუსიკის მიმართ
და მთხოვეს, მომეთხრო ზოგი
რამ მის შესახებ. მუსიკაზე და-
წყებული საუბარი გასცდა „ვიწ-
რო ჩარჩოებს“ და თითქმის ყვე-
ლა სფერო მოიცვა. ჩემი სამ-
საათიანი ლექცია-საუბრიდან,
ვფიქრობ, ბევრი რამ შეიტყვეს

ჩვენს შესახებ. მოსმენილით გან-
ცვიფრებულემა გაყალბებული
პრესით მიღებული შთაბეჭდილე-
ბა მაინც ვერ დამალეს:

— გამაგებინეთ, ასეთი კულ-
ტურის, ყოფის, სარწმუნოების
ხალხს რატომ გადანაშაულებენ
ბევრ რამეში! მაგალითად, ოსეთ-
თან, აფხაზეთთან ურთიერთობა-
სა თუ კიდევ მსგავს საკითხებში?

პასუხის გასაცემად ბევრი ფიქ-
რი არ დამჭირებია. ჩავრთე ხმის
ჩამწერი და ინგლისელებს საუ-
კუნის წინ ჩაწერილი „წინწყარო“
მოვასმენინე. სიმღერა რომ ჩა-
მთავრდა, კითხვითვე მივმართე:

— შეიძლება ამ სიმღერის შე-
ქმნელი ხალხი დამნაშავე ან ცუ-
ლის მკეთებელი იყოს?

ჩემი არგუმენტი იმდენად ეფექ-
ტური და შეუვალი აღმოჩნდა,
რომ აღფრთოვანების ყიფინა
ერთხმად აღმოხდათ.

სხვათაშორის, მოწვეული სტუმ-
რებიდან ორი მათგანი საქართვე-
ლოში იყო ნამყოფი. ისინი პირა-
დად იცნობდნენ ამ ყურნალის
მთავარ რედაქტორს პოეტ ჯან-
სულ ჩარკვიანს. იმდენად კარგად,
რომ ინგლისელებმა შეუმცდარად
მითხრეს ბატონი ჯანსულის სახე-
ლი და გვარი...

იქ ყოფნის რვა დღეც მიიწურა.
ჩველი ბავშვივით ავიტატე ხელში
ჩემი „ნადავლი“ და კმაყოფილმა
და ბედნიერმა დავეტოვე მასპინძ-
ლის სახლი.

მოვდიოდი და ჩემს მასპინძლებ-
თან ერთად მათ ჰერკევში დაღვრი-
ლი დედას ლევანას „მრავალყა-
მიერი“ მომაცილებდა. და მაშინ
კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ
ქართულ გენს, ქართულ სიმღე-
რას გადაშენება არ უწერია.

მსაუბრა
ნუნუ კუპარიშვილი



ანზორ ერქომაიშვილი ტედ ლეენთან და ალან ლომაქსთან ერთად.



არ ეთმობა, ტრაგედიაა. ჩვენ უველაფერს მივეჩვიეთ, ჩვენ, ეტყობა მართლა დავიღალეთ.

**

მახსოვს, ერთხელ საჯანგებოდ ჩავედი პატარძელის ხახლ-მუწეუშში. გიორგი ლეონიძის რამდენიმე ძველი, დღევანდელი მკითხველისათვის უცნობი ლექსის გადაწერა მინდოდა. ხეივანული ლექსები, აგრეთვე წერილები, სხვადასხვა დროს ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულნი, გულმოდგინედ ეგროვებინა პოეტის ახლო ნათესავს (ბიძაშვილს) გიორგიწმინდელ მეტყუევს. ბატონ მიხეილ გულისაშვილს — უადრესად გულისხმიერ და კულტურულ ადამიანს (იგი მწერლისა და ყურნალის ღიმიტრი გულიხაშვილის მამა და პოეტ ლალი გულიხაშვილის პაპა იყო). აღრევე გავიცანი მაღალი, ძალზე გამხდარი, სახიამოვნო მოსაუბრე, შორიდებული ადამიანი. საზეზე სიზავე რომ გადაპყრავდა. გოგლა ჩემი სიამაყე იყო და მის ყოველ ნა-

ბიჭს ვაკვირდებოდი, რასაც დახეჭდავდა, ვინახავდიო, შითხრა. დიდ საქალაქში ჩადებული, წლობით ნაგროვები, მუყაოზე ხათუთად დაკრული და დახარისხებული მასალები მე დამათვალეებინა და მერე ახლადდაარსებულ მუწეუშს ჩააბარა.

ზოგი რამ, რაც ამ დღისნიერმა კაცმა თავის დროზე წამოკითხა და მახსოვდა, სამწუხაროდ, იმ ქალაქში არ აღმოჩნდა. დღესაც არ ვიცი, ხად გაქრა. ზოგიც (მათ შორის ძალზე ხაინტკერესო თავისუფალი ლექსი „ქართლი“) გადავიწერე და „საქალაქის“ მიერ გამოცემული ანთოლოგიის ერთ-ერთ ტომში შევიღა. ამ ფუტკარავით მშრომელ, გამრგე კაცს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ პოეტის რამდენიმე ადრინდელი ძვირფასი ლექსი დღეს ჩვენს ხელთ არის.

მუწეუშის მომვლელი ქვემოთ, გრილ ხარდაფში როცა შემიძღვა და ხეივის კარი გააღო, ზემო თაროზე რაღაც

თეთრს მოკვარი თვალი. რა არის-მეთქი, ვიკითხე.

— ეგ ლეონიძის ხელებია.. — მიახუხა, გამოიღო და იქვე გრძელ მაგიდაზე დააწყო თაბაშირში ჩამოსხმული ხელის მტევნები.

ელდა მცცა. გაოგნებული და ვჩერებოდი. შეხება ვერ გავხედე. მე რასაც ვხედავდი, ეს იყო მკვდარი ახლი, ანაბეჭდი. მეგონა, თითქმის გადაეჭრათ ღვეკაცის ლომური მაჭა. საბარალოდ იყო ჩერშეცვლილი მისი ჯიშინი, თლილი თითები. აღმათ ასეთ თითებს გამოპყავდა ჩვენი უძველესი ტარების კედელზე ამოკვეთილი, ფრთხილწამოწიდილი ანგელოზები. მე მინახავს სიცოცხლეში როგორ ბზინავდა წნორის დაწიშვებული ძირებივით გასრიალებული ეს გრძნეული თითები, ახლა რომ უძრავად გაიხუთიყო; ძველი მოქნილობის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. გუნება მომეშხამა. მომვლელს, ქალბატონ სონას ვთხოვე, ისეც რკინის სეიფში

შეინახა მუწეუშის გამოუყენელი ექსპონატი...

ხანდახან რადიოში თუში გოგონას სიმღერებს გადმოსცემენ. უხაშველო ნაღველის, ტირილის ხმა მოდის. ერთი მისი სიმღერა („ლომლო, შელომის მოკლულო, ბუნსი ქალაის პირსაო...“) ადვილზე მაქვავებს. მაშინვე თეთრ, გამოტეტკილ თაბაშირში გადატანილი გიორგი ლეონიძის ხელები დამიდგება თვალწინ. ყელი გადაშეკეტება. ცრემლები მომეძალება, ყურში მისივე სიტყვები ჩამეხმის, ყოველივეს წარმავლობაზე, განქარებაზე რომ დაიჩივდა: „საიდან მოდის სიღამაზე? ან ხად მიღის? ხად იყარება? თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?“

არ არის სხვა გზა — როცა ძვირფასი, „სამწეოს დაკლებული“ ადამიანი მოგვენატრება, იქ უნდა ვეძებოთ. ხადაც და რაშიც თავისი ღამაში სული ჩასტოვა. ეს ერთადერთი სუსტი ნუგეშია. რითაც შეიძლება უძველველ ამოგებას შეეძობოლო.

ქართული ოპერა ვერდის სამშობლოში

და რეჟისურასაც. ორივე საოპერო სპექტაკლის დეკორაცია და კოსტიუმები გ. ალექსი-მესხიშვილისაა. „გაძეტა დი პარამში“ ვკითხულობთ: „სუფთა და ტრადიციულია სცენური მხარე, რომელიც განახორციელა ჩვენთვის კარგად ცნობილმა ორმა პიროვნებამ — რობერტ სტურუამ და სცენოგრაფმა-კოსტიუმისტმა გიორგი ალექსი-მესხიშვილმა“ (მათ წლებულს პარამში დადგეს „ევეგენი ონგენი“). დაბოლოს მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა იმ პიროვნებაზე, — ბატონ ჯანსუღ კახიძეზე, რომლის ნიჭიერებამ მთლიანობაში მოიყვანა საფესტივალო პროგრამა, შეკრა და დიდად განსაზღვრა მუსიკოსთა უზარმაზარი კოლექტივის შემოქმედებითი ძალა. ყოველი სპექტაკლის დამთავრებისას ოვაციით ეგებებოდნენ. „ჩვენის აზრით მაესტრო ჯანსუღ კახიძემ ვერდისეული პარტიტურის თავისებური, „ფილოსოფიური“ წაკითხვა შემოგვთავაზა, ნიუანსებისადმი მიყურადებელი, ლირიკულ ეპიზოდებში ოდნავ შე-

ნელებული (მესამე მოქმედება), მომცველი მთელი იმ „სიმფონიზმისა“, რომლითაც გაყლენთილია მთელი ოპერა. თავის ამ 26-ე და ბოლოსწინა ნაწარმოებში 77 წლის ვერდიმ სწორედ იმით დაამტკიცა თავისი სრილადე, რომ გამოიყენა ახალი სქემები, დახვეწა თავისი სტილი და დაიპყრო მანამდე მიუღწეველი მწვერვლები. ამიტომაც მისი ქმნილება ახალ განზომილებებს იქნის და უფრო მომხიბლავი ხდება. კახიძის ხელმძღვანელობით ორკესტრმა და გუნდმა უდიდესი ძალით შეძლეს დრამაში გადმოცემული მთელი ატმოსფეროს ხორცშესხმა“ (გაზ. „რეჭო“). ფესტივალის დასკვნითი საღამოს ორგანიზატორებმა ბატონ ჯანსუღს სთხოვეს სადირიჟორო ჯოხი, რათა იგი ბუსეტოს მუზეუმში დიდი ტოსკანიის — ვერდის დიდებული ინტერპრეტატორის ჯადოსნური ჯოხის გვერდით მოეთავსებინათ. ასეთი პატივი, უეჭველია, ძალიან ცოტას, ქართველთა შორის კი, არავის არ რგებია დღემდე.

მაგრამ ის, რაც სამი ივლისის კონცერტზე მოხდა. შემდეგ კი ფესტივალის დასკვნითს საღამოზე განმეორდა. პირდაპირ წარმოუდგენელია. დაუვიწყარია. ერთბაშად ძლიერად და ხშიერად ავგუზუნდა „ნაბუქოს“ გუნდი და ჩვენი „ჩემო კარგო ქვეყანავ“. თავისუფლების ამ ორმა ჰიმნმა თითქოს მონუსხა და ერთ სხეულად შეადულაბა ქართველ მუსიკოსთა და იტალიელ მსმენელთა არა მარტო სასიმღერო ხმები, მათი სულისკვეთება. ფიჭრი და აზრი, თავისუფლებისკენ სწრაფვის წმინდათაწმინდა გრძნობა. წარუშლელი სურათი იყო — იტალიის დროშის გვერდით ფრიალედა თავისუფალი საქართველოს დროშა. ჰაერში ირხეოდა ჩვენი ქართული ჰანგი — დიდებული „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელსაც მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარა მღეროდა. და ეს წარმატება შეიძლება მართლაც შევადაროთ ინგლისში, შექსპირის სამშობლოში, რუსთაველის თეატრის წარმატებას შექსპირისავე პიესით.



გაღალია ოლიგარქი ბასტიონი

დღეს რომ ჩვენი სპორტის დონის შეფასება გვთხოვს ვინმემ, ამას ალბათ შარშან თუ შარშანწინ მოპოვებული მედლების თვლით დაიწევბო. როდესაც საქართველოს სპორტსმენები ჩერ კიდევ ასპარეზობდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და, საერთოდ, მრავალი უმნიშვნელოვანესი ოფიციალური ტურნირის მონაწილენი იყვნენ. ისინი, ცხადია, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ და იმ ჩილდობებსაც ცალკე საკავშირო სპორტკომიტეტი მიიღვლიდა, ცალკე — ჩვენ. მსოფლიოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ ამ „ორმაგი ხულალტერიისა“ თითქმის არაფერი იცოდა და ჩვენს მედლებს, ბუნებრივია, რუსეთისად მიიჩნევდა.

ამ გარემოების გამო და ხოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების შესაბამისად, წლეულს, გაზაფხულზე, ჩვენმა ოფიციალურმა პირებმა შეუძლებლად მიიჩნიეს შეჭიბრებებში საქართველოს სპორტსმენების საბჭოთა კავშირის სახელით გამოსვლა... პატრიოტული გრძნობა სპორტსმენს სხვა მოქალაქეზე ნაკლებად არ აქვს მომადლებული, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც თვლიდა, რომ იმპერიულ სპორტთან კავშირის გაწყვეტა გაისად, კერძოდ, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჯობდა. მიღებულ გადაწყვეტილებას კი ყველა დაემორჩილა, ზოგი — დიდი ერთუზიანებით, ზოგი კი — ნაკლებით.

საქართველოს სპორტს ჩერ არ დაუკარგავს თავისი ძალა და პოტენცია. ოღონდ ესაა, ამ ძალის რეალიზების გზები დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დროებით, მაგრამ მკვეთრად შეიწლულა. მიზეზი კი ალბათ ყველას მოეხსენება. ჩერჩერობით უცხოეთში ჩვენ საბჭოთა კავშირის ნაწილად გვთვლიდნენ და „საქართველოს სპორტს“ გაგონებაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე, რო-

გორსაც. ვთქვათ. არზონის ანდა ანდალუსიის სპორტის გაგონება მოახდენდა...

ამ მდგომარეობის გამოწვორების მიზნით ახალი გზების ძიებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს სპორტში ხდება ძალთა, უფრო სწორად, შესაძლებლობათა გადანაწილება. ოლიმპიურ სახეობათა (მძლეონობა, კიდაობა, ფეხბურთი და ა. შ.) საერთაშორისო ფედერაციებს კანონთა და დებულებათა დიდი ბასტიონი აქვს შემორტყმული ჩვენისთანებისაგან, ესე იგი, იშაათაგან „თავის დასაცავად“, ვინც დამოუკიდებლობას ეძებს ერთდროულად პოლიტიკასა და სპორტში, ან კიდევ ჩერ სპორტში და მერე — პოლიტიკაში (ისინი მხსნალებად შებრუნებულ ვარიანტს თვლიან). ეს ბასტიონი ჩერჩერობით საქართველოს ვერც ერთმა ფედერაციამ ვერ გადალახა და პერსპექტივაც ბუნდოვანია. ამის გამო ჩვენი შესანიშნავი მოჭიდავეები, მსროლელები და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლები ჩერჩერობით იშვიათად, ან ხულაც ვეღარ გამოდიან ისეთი რანგის ტურნირებში, სადაც მათი ნიჭი სრულად დაფასდებოდა და უფრო გაიფურჩქნებოდა კიდევ. ცალკეული ცდები უცხოეთის ტურნირებზე გამოსვლისა, რაშიც იქაური „ძველი ნაცნობებიც“ გვიწყობენ ზელს, საქმეს ბევრს ვერაფერს შევლის.

სამაგიეროდ, სულ ახალი ასპარეზი იპოვეს სპორტის იმ სახეობათა წარმომადგენლებმა, რომლებსაც არც ისე დიდი ხნის წინ მხოლოდ უცხოელთა ახირებდა და თავის ქეიფად ვთვლიდით. დავახსნელბ თუნდაც კარატეს, ამ სახეობას ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობა აქვს და თვითოეულში თუ არა, ყოველ მერყეში მაინც არის შექმნილი მსოფლიოს ფედერაციები, რომლებშიც, თუ მსურველი ცოტა შარჭვეთაც მოიკცევა. ყველას მიიღებენ. მვენისთანა „სახეობათა“ რეზიზუბლიკასაც კი, საქართველოს კარატისტე-

ბი დამოუკიდებელი გუნდით მსოფლიო ჩემპიონატშიც კი მონაწილეობდნენ და ერთერთ ფედერაციაში გაწევრიანდნენ კიდევ.

თუ რატომ არის გაცილებით იოლი სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებში გაერთიანება, ახნა იქნებ ამას არ სჭირდებოდეს. მაგრამ მაინც ვთქვათ: ჩერ ერთი, უკვე დასახელებიდანაც ჩანს, რომ ამ ფედერაციებს ვერ სწვდებოთ ოლიმპიური კომიტეტის ფიზიული თვლი, ე. ი. არ არის მაინცდამაინც აუცილებელი შესრულდეს კომიტეტის მიერ ჩერჩერობით ურყევი დებულება: ერთი ქვეყანა — ერთი ფედერაცია (ახეთ პირობას მოითხოვენ ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებიც). მეორედ, საკავშირო სპორტსახუმის შესვეურებიც, რომლებსაც, უნდა ითქვას, საკმაო გავლენა აქვთ მსოფლიო სპორტში, ახეთ შემთხვევებზე ნაკლები ხიმძაფრით რეაგირებენ, და რესპუბლიკური ფედერაციების „უტეკობას“ ზოგჯერ წაუფრუებენ ხოლმე. ებეც გასაგებია: საბჭოთა სპორტი, თუ რეგულაციის შემდგომ ერთგვარ ეიფორიას არ მივალბთ მხედველობაში, ძირითადად პროპაგანდისტული მიზნით ჩამოყალიბდა, რათა ოქროს მედლების ბრჭყვიანობით როგორმე გაულამაზებინა იმპერიის პირჭუში სახე და სპორტშიც უძლევულად დანახვებოდნენ მსოფლიოს, ამიტომ გეზი სპორტის იმ სახეობებისკენ აიღეს, რომლებშიც ბევრი მედალი თამაშდებოდა და უფრო კომპლარული იყო. სხვებს კი აინუნშეოც არ აჯდებდნენ.

ერთ კერძო შემთხვევაში მაინც გამოგვდეს კვანტი, ოღონდ ეს კერძო შემთხვევა მსოფლიოში საკმაოდ კომპლარულ თამაშს — რაგბის ებებოდა, და ისინიც ამიტომ „გაისარჩნენ“. საქართველოს მორაგებებს თითქმის არაფერი აქლდათ რაგბის საერთაშორისო კავშირში გაერთიანებამდე, მაგრამ სწორედ გადაშწყვეტ მომენტში საქმეში


საკავშირო ფედერაცია ჩერია. და ეს საქმე დამუხრუქდა. თუმცა ჩვენს მორაგებებს ჩერ იმედი არ დაუკარგავთ.

სამაგიეროდ, საქართველოს მკლავებიდებმა უკვე მოასწრეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ასპარეზობაც და პირველი მედლების მოპოვებაც. ნამბოს საშეაროში ამტულარმა სკანდალმაც ჩვენს წისკილზე დაახნა წყალი: ევროპის ფედერაციები შემოსწრნენ კიდაობის ამ სახეობის ფუჭმედლების, — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს (სხვა საკითხია, რომელი ქვეყნების ეროვნული კიდაობისგან შეაკვიწეს მათ საშობ), კონტინენტის ახალი ფედერაცია შექმნეს და მის შემადგენლობაში ერთი დავიდარბის შემდეგ საქართველოც მიიღეს. ეს ტურნისში მოხდა ამ ერთი თვის წინათ. იქვე გაიმართა ჩემპიონატიც ახალი ფედერაციის ეგადით, რომელშიც ჩვენმა ფალავნებმა ცხრა მედალი (!) მოიპოვეს, აქედან სამი ოქროსი. ერთი სიტყვით, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის (ახლა სამინისტროს), ოლიმპიური კომიტეტისა და თვით სპორტსმენთა მცდელობებს ზოგჯერ ნაყოფი გამოაქვს.

თვით მამაპატურ თამაშად მიჩნეულმა ნარდმაც კი გავიკვლია გზა უცხოეთისაკენ. სულ რამდენიმე დღის წინათ მონტე-კარლოში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ნარდში, რომელშიც სრული შემადგენლობით მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები, ის კი არა, ჩვენმა ფირმამ „ვესტამ“ ამ შეჭიბრებაში თავისი გუნდიც გამოიყვანა.

მოკლედ, თითქოს დღევანდელი იზოლაცია ერთგვარად მსულუბქდებო. მაგრამ... ქვეყნის „სპორტულ სახეს“ თითქმის მთლიანად სწორედ ოლიმპიური სახეობები განაპირობებენ. ამიტომ ამ სახეობებში მიღწეული დონის შენარჩუნება, ახევე უახლოეს მომავალზე ზრუნვა, დიდი და ძნელად გაღასპორული პრობლემაა ჩვენს სპორტში.

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



მწერალ იური გორამის
მიერ შეკრებილი მასალა.
ბის კრავულიდან „ხუმარა
სოსო“.

აი, რა მძინა ტყაპუშმა
სტალინი გადასახლებაში გა-
ეცნო რომელიღაც ანარქისტს,
რომელიც მახავით იხდიდა სას-
ჯელს. ანარქისტი — პეტერ-
ბურგელი არტისტი და ლიტერ-
ატორი — შესაძლებლობის
კვალობაზე ცდილობდა გადა-
სახლებაშიც განეგრძო ბოზე-
მური ცხოვრება. როცა სტა-
ლინმა გაქცევა განიზრახა, მან
დაიყვანა ანარქისტი, რომ
მისთვის ნებაყოფლობით დაე-
თმო თავისი ცხვრის ტყაპუტი
(სტალინის კულტის დროს
ერთ-ერთ სურათზე გადასახ-
ლებიდან გამოქვეყნულ სტალინს
სწორედ ტყაპუტი აცვია).
რევოლუციის შემდეგ ანარქი-
სტი გადასახლებიდან დაბრუნ-
და და ნების დროს გამდიდრდა.
30-იანი წლების ბოლოს ის
ბანაკში იჯდა. გათავისუფლენ-
ის შემდეგ მოსკოვში, ერთ

ციცქნა სენაკში დაიდო ბინა.
დაბერებულსა და დაავადებულს
ძლივს გაჰქონდა თავი იმ ძალ-
ზე ცოტა ფულით, რომელსაც
შოულობდა რაღაც-რაღაცების
თარგმნით. ერთხელ წერილი
მისწერა სტალინს. გარკვეული
ხნის შემდეგ მასთან ორი ახა-
ლგაზრდა სამხედრო მოციგა
და პირადი ტელეფონი დაუდ-
გეს. იმავე ხალაშის კი წარმა-
დარეცა.

— ალო, სტალინი ლაპარა-
კობს.
— დიან, ამხანაგო სტალინი,
მე მოგწერეთ წერილი. ტყაპ-
პუტი გახსოვთ?
— დიან, მახსოვს. ახეთ რა-
მეს არ იგოწყებენ. — და
სტალინმა ურჩილი დაჰკიდა.
იმავ ღამით ის საცოდავი
ნანარქისტალი იქით გაამგზავ-
რეს, სადაც ძველი, რომანოვის-
დროინდელი ტყაპუტები მას
ძალიან გამოადგებოდა.
კეთილშობილი ძველი დროის
ყაჩაღები, კურდღლის ტყაპუტს
მაინც თუ მიიღებდნენ, ახე არ
იქცეოდნენ.

თარაზულად: 8. გზაზე გამართული სასტუმრო; 9. კოლექტი-
ური შუამდგომლობა; 10. ქიმიური ელემენტი; 11. ქართველი პოეტი;
12. კონტინენტი; 13. სიონის საცავი დიდი დახურული კურტილი; 17.
სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 18. დაფუძული მარ-
ცვლის გარსის ნარჩენი; 19. სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამს. დას.
ნაწილში; 20. უინულზე სასრიალო იალქნიანი მსუბუქი ნავი; 23.
ზღვის ნაპირის ზოლი, რომელიც წყლით იფარება ზღვის მოქცევის
დროს და შეივლდება მიქცევისას; 24. ძაბრისებური ჩაღრმავება
ვულკანის თავზე; 26. რისაზე დედააზრი. რაობა; 29. ძველებური
შოტლანდიური ცეკვა; 31. მუსიკალური პიესის რომელიმე ნაწილის
გამეორება; 32. მინერალური წყალი; 33. ლათინური, მომრგვალებუ-
ლი მოხაზულობის შრიფტი; 34. ნებსტარი.

შვეულად: 1. ქართველი მსახიობი ქალი, კარონას როლის შემ-
სრულებელი დ. კლდიაშვილის პიესაში „დარისპანის გასაქირი“; 2.
ოთახის ძაღლის ჯიში; 3. ლანგარი; 4. მეცნიერება, რომელიც სწავ-
ლობს ბიოლოგიურ სისტემებსა და პროცესებს საინჟინრო ამოცანა-
თა გადასაწყვეტად; 5. დას. სამოს დედაქალაქი; 6. ცხოველური ორ-
განზმის სპეციფიკური ფიზიოლოგიური რეაქცია; 7. იტალიელი კი-
ნორებისორი; 13. ქალის ღამაზად მოწყობილი სასტუმრო ოთახი
მდიდართა სახლებში; 14. რუსი ფერმწერი; 16. ჩინეთის ფულის ერთ-
ეული; 18. სწორი ხაზის ან რომელიმე მრუდი ხაზის. ან მრუდი ზე-
დაპირის ორი წერტილის შემაერთებელი ხაზი; 21. რომის პაპის რე-
ზიდენცია; 22. კანადელი პოეტისტი; 25. ველი, მინდორი; 27. წყლის
ხაღვაძით დახატული სურათი ახლად შეღების კედელზე ან კერზე;
28. ობლიგაციის ან აქციის მოხაზრული ტალონი პროცენტების, ან
დივიდენდის მისაღებად; 30. ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი
და დირიჟორი; 31. ავტომატური ხელსაწყო, რომელიც რეაგირებს
რაიმე დანადგარის ერთ-ერთი პარამეტრის ცვლილებაზე.

შეადგინა ცივალა ავაზუკაელმა

მე-7 ნომერში გამოვეყენებული კროსვორდის პანუსები:

თარაზულად: 8. კაბადონი; 9. ბიწენი; 11. სპა; 12. ჯიბა; 13.
კურსი; 14. შრე; 15. შელი; 16. თუნგი; 19. შტო; 21. ბაზა; 23. ფე-
რდიანი; 24. ლუფტი; 25. ტიტა; 26. ლუმენი; 27. ემი; 28. ხარდი;
30. ეტლი; 32. უუა; 33. კრისტალი; 36. ავინიონი.
შვეულად: 1. მანიფესტაცია; 2. ჯანაშია; 3. კოლმერატევი; 4.
უისმათი; 5. აბაკანი; 6. აზარტი; 7. დელიმი; 10. ირემი; 17. მადლი;
18. ბანტიმი; 20. ხემესტრი; 22. ალაშბარი; 26. ფილმი; 29. რაბი; 31.
იუტი; 32. უდა; 33. ეკი; 34. ბია.

გარეგანის პირველ გვერდზე: ბელატიის ღვთის-
მშობელი.
მეოთხე გვერდზე: მზეო თიგათვისა.


გადეცა წარმოებას 81.07.91. ხელმოწერილია დასაბუქდად 18.09.91.
ფორმატი 60x90¹/₂. ფიზიკური ფურცელი 3. საადრეტულო-საგამომ.
ცემლო თაბაბი 5,09. ტირაჟი 27.000. შეკვეთა 1514. ფასი 70 კაპ.
საქართველოს ურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“
სტაბა, 280009, თბილისი, 8, კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и ли-
тературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на
грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типо-
графия газетно-журнального издательства «Самшобло».
Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, თბილისი 8, რუსთაველის ქ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-24-08, პასუ-
ხისმგებელი მდივნისა და პაწოფილუბათა მამავენი —
99-28-25, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-09.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტომატურად უბრუნდება.


საქართველოს კინოცენტრი



მხატვარი ჯემალ ლთლუა.

— აბო, მთლი ნახე, ყიდვით მაინც ვერ იქიდი!

იუმორი



— ძია, ვერ იახსენს და მერე ააწყებს ეს მანქანა?



მხატვარი ჯემალ ლთლუა.

1207
H 7